ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

უნივერსიტეტი

4
ნოემბერი, ორშაბათი, 2013 წ., №15

ფონდიდან ეკ-ეკურ ხუმრ-ბუმრ-ო ხელმეკრეებში ლანდამონარნ-ეობის ინოქიოტოვეს მოკ-ონ

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის მოციქულებრივი დანიშნულება გვ. 2

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი პაატა ბურჭულაძე თსუ-ს ეწვევა გვ. 3

პაატა ბურჭულაძე აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძესთან და თსუ-ის პროფესორ ირინე მირიჯანაშვილთან ერთად

204 000-ზე
მეტი ადამიანია სახალხო აქციაში ჩართული

ფონდის ვებგვერდის www.makhata.ge მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ ტაძრის მშენებლობის პროცესი პირდაპირ ეთერში იხილოთ

პაატა ბურჭულაძე:

„ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი სწორედ ჩვენი ერთიანობითა და თანასწორობით იქნება განსაკუთრებული. მსოფლიოში არ არსებობს სხვა ანალოგი, როცა არა რომელიმე ბიზნესმენი ან ორგანიზაცია, არამედ ხალხი, თავისი კეთილი ნებითა და თანაბარი მონაწილეობით ააშენებს უდიდესი მნიშვნელობის სამონასტრო კომპლექსს. ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატის სადიდებლად აგებულ სულიერ სავანეში შესულ ყველა დედას შეეძლება თავისი შვილისთვის სიამაყით თქმა — ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ მთელ საქართველოსთან ერთად!“

საუნივერსიტეტო საზოგადოება სწორედ ის საზოგადოებაა, რომელმაც შემოწირულობებით ნაკეთები საშვილიშვილო საქმეების ფასი კარგად იცის. პირველი ქართული უნივერსიტეტის შენობის აგებაც ხომ მთელი მაშინდელი ქართველობის თანაგრძნობის ნაყოფია. მიწის შესასყიდი ფულის დიდი ნაწილი დიდ მეცენატს ნიკო ცხვედაძეს სწორედ რომ კერძო პირებისა და დაწესებულებებისგან შეუგროვებია. სახელმწიფოს სრულებით არ მიუღია მასში მონაწილეობა. გროშებით შეკრებილი ფულით ჩაყრილა უნივერსიტეტის (მაშინდელი პირველი ქართული გიმნაზიის) შენობის საძირკველი. საუკუნის ამ მშენებლობის მეისტორიენი ამჟამად ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ყველა ის წარმომადგენელია, ვინც ასეთ ღვაწლს ყოველთვის ადგამს გვირგვინს. სწორედ ამ საზოგადოების ფასისა და ისტორიული მეხსიერების ცოდნას მოჰყავს უნივერსიტეტში დიდი ქველმოქმედი პაატა ბურჭულაძე, რომელიც უნივერსიტეტისგან კვლავაც საშვილიშვილო საქმეებში თანამონაწილეობის ინიციატივებს მოელის. ის, რომ ახალი დროის მეცენატი საუნივერსიტეტო საზოგადოებას მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის პროექტში მონაწილეობას სთავაზობს, მეტად სიმბოლურია სწორედ იმ თვალსაზრისით, რომ ტაძრად ხსენებული უნივერსიტეტიც სწორედ შემოწირულობებით აიგო და აღორძინდა.

მე-3 გვერდზე

ქართველი ერის მეორე ავტოპორტრეტი

ამორწმუნე ადამიანთაგან ხშირად გევრს აქვს პრეტენზია და უკმარისობის განცდა ეკლესიის მსახურებისა და სასულიერო პირების მიმართ. ზოგჯერ რწმენაში განმტკიცების მაგივრად უფლისგან კიდევ უფრო დაშორებისკენ გვიბიძგებს არაერთი მოვლენა, ფაქტი თუ იმედგაცრუება... ამ რეალობაში არა მხოლოდ საკუთარი პიროვნული სისუსტე, არამედ სხვა ადამიანებიც და ზოგჯერ მოძღვრად მიჩნეული პიროვნებებიც მონაწილეობენ. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, XX საუკუნეში ღვთის თაყვანისცემისაგან განშორება საყოველთაო ხასიათსაც კი ატარებდა. ამიტომ უფალთან დაბრუნება საერთო სახალხო საქმეა. წმინდა სამების საკათედრო ტაძრის შემდგომ ღვთისმშობლის სავანის მშენებლობა მახათას მთაზე არის კიდევ ერთი საშუალება ჩვენი ერისათვის, მოინანიოს ღვთისგან განშორება — ეს არის ნაჩვენები გზაც და გამოსავალიც, რასაც ხშირად ვეძებთ ხოლმე არაერთგზის იმედგაცრუებულნი თუ სასოწარკვეთილნი... სწორედ ამიტომ უწოდა მისმა უწმიდესობამ ამ ტაძარს ქართველი ერის მეორე ავტოპორტრეტი.



ნომერში

უნდა დაიყოს თუ არა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი?..... 4

თსუ-ის დოქტორანტების აზრი პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნაზე..... 5

რექტორთან შეხვედრის შემთხვევაში რა საკითხს წამოწევთ?..... 6

ნობელის პრემია ჰიგსის ბოზონის აღმოჩენისთვის..... 7

უნივერსიტეტში დავაბრუნოთ კორპორატიული კულტურა..... 9

„გონება ამარცხებს კაპიტალს“ — ორიგინალური ნაშრომი „სამეწარმეო გაზაფხულის“ დადგომის შესახებ..... 10

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის მოციქულებრივი დანიშნულება

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მრავალი სასწაულთმოქმედი ხატი არსებობს, რომელთა მიერ აღსრულებული სასწაულების მიხედვით, მათ განსაკუთრებული თხოვნით მიმართავენ ხოლმე რომელიმე კონკრეტული სნეულების ან განსაცდელის ჟამს (სიყრუის, სიბრმავის, სიმსივნის, ლოთობის, მშობიარობის, ტყვეობის, ხანძრისა თუ მტრის შემოსევების შემთხვევაში). ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს მისთვის დამახასიათებელი, განსაკუთრებული მადლი აქვს, რაც გამოვლინდა ხატმებრძოლეობის ჟამს (VIII-IX ს.ს.) მის მიერ აღსრულებული უდიდესი სასწაულით. ამ ხატმა ამხილა ხატმებრძოლთა მიერ ხატის თაყვანისცემის შესახებ გავრცელებული სწავლების სიყალბე, როცა ხატმებრძოლი მეომრის მახვილით მიყენებული ჭრილობიდან სისხლი გადმოსდინდა, როგორც ცოცხალ ადამიანს და ამ სასწაულით ჭეშმარიტებაზე მოაქცია ის მეომარი, რომელიც მას განადგურებას უპირებდა. ეს სისხლიანი ჭრილობა ღვთისმშობლის სახეზე დარჩა ამ ხატის განმასხვავებელ, დამახასიათებელ ნიშნად, როგორც მარადიული მოწოდება ჭეშმარიტი საეკლესიო სწავლების დაცვისაკენ. მან, როგორც მოწამემ, სისხლის დათხევით დაამოწმა ჭეშმარიტი სწავლება ხატის თაყვანისცემის შესახებ და სასწაულით აჩვენა, რომ ხატი არის მასზე გამოსახული პირველსახის მადლის მატარებელი და მოქმედებს მისი სიწმინდის ძალით. ამ სასწაულმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ხატის შეურაცხყოფით შეურაცხყოფას ვაყენებთ მასზე გამოსახულ პირველსახეს და, შესაბამისად, ხატის თაყვანისცემით პირველსახესავე მივაგებთ პატივს.

ხატმებრძოლეობა ბიზანტიის ეკლესიაში VIII-IX ს.ს.-ში შემოიტანა მცირეაზიელ ეპისკოპოსთა ერთმა ჯგუფმა. ეს ცრუ სწავლება კრძალავდა ხატის თაყვანისცემას თითქოსდა წმინდა წერილზე დაყრდნობით, რომელიც კრძალავს ნებისმიერი ქმნილების თაყვანისცემას (გამ. 20, 4-5), მაგრამ, სინამდვილეში, ხატის, როგორც სიწმინდის უარყოფით ეს სწავლება უარყოფდა ეკლესიის მისტიკურ მხარეს, ეწინააღმდეგებოდა სწავლებას საეკლესიო საიდუმლოების, მღვდელმოქმედების შესახებ, რომლის მეშვეობით „საგნები იძენენ საღმრთო ძალმოსილებას ისე, რომ არ კარგავენ მატერიალურ შედგენილობას და თვისებებს და გარდაიქცევიან სიწმინდედ, სულიწმიდის ენერგიის მატარებლად" (როგორც ეს ხდება, მაგალითად, წყლის კურთხევის დროს). ამ ცრუ სწავლების ბოროტება და ცდომილება მთელი სისავსით გამოვლინდა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე მცირე აზიიდან გამოსულ ისავრელთა დინასტიის წარმომადგენელთა მოსვლის შემდეგ, რომელთა მმართველობის დროს ამ რელიგიურმა მოძრაობამ კონსტანტინოპოლში გადაინაცვლა, პოლიტიკური ხასიათი შეიძინა და მოწინააღმდეგეთა დევნის სასტიკი ფორმა მიიღო: ხატის თაყვანისცემა ითვლებოდა პოლიტიკურ დანაშაულად და ხელისუფლების საწინააღმდეგო ქმედებად. ხატმებრძოლები ანადგურებდნენ ხატებს, ანგრევდნენ მონასტრებს, ითვისებდნენ სამონასტრო ქონებას, მიწებს, იჭერდნენ, აწამებდნენ და ხოცავდნენ ბერებს, მონაზვნებს და მათ თანამოაზრეებს იმ საბაბით, რომ თითქოსდა მონაზვნობა აბრკოლებდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ასუსტებდა მის სამხედრო ძლიერებას (სამხედრო კადრების შეუვსებლობის გამო), მაგრამ, სინამდვილეში, ეს ბრძოლა მიმართული იყო ისევ და ისევ სიწმინდის, ამჯერად ადამიანური სიწმინდის წინააღმდეგ (რომლის მიღწევის საუკეთესო გზად სწორედ ბერული მოღვაწეობა არის მიჩნეული), და ეს არც იყო გასაკვირი — იმ პერიოდის ბიზანტიელი იმპერატორები შორს იყვნენ სიწმინდისაგან და მათ საიმპერატორო კარზეც გაბატონებული იყო შური, უზნეობა და სისასტიკე, თუმცა იმპერატორები ესწრებოდნენ ღვთისმსახურებას და ზოგი მათგანი საგალობლებსაც წერდა.

საქართველოში ხატმებრძოლურ მწვალებლობას არ შემოუღწევია. როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში ღვთის სიტყვის საქადაგებლად ანდრია პირველწოდებულის შემოსვლამ ღვთისმშობლის ხელთუქმნელ ხატთან ერთად ქართველი ადამიანის ცნობიერებაში წარუშლელი კვალი დატოვა, რამაც საქართველოში ხატების თაყვანისცემის მყარ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ იმდროისათვის ხატის არსებობა იყო უჩვეულო მოვლენა: მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა და მისი ხელთუქმნელი ასლების გარდა მაშინ სხვა ხატები არ არსებობდა: ლუკა მახარებელმა ღვთისმშობლის პირველი ხატი მისი მიძინების შემდეგ დახატა, შემდგომშიც ქრისტიანობისათვის წამებულთა სახეები და ისტორიები კარგა ხნის მანძილზე მხოლოდ სიტყვით აღიწერებოდა, რამაც ჰაგიოგრაფიას ჩაუყარა საფუძველი. საეკლესიო გადმოცემის თანახმად, ანდრია პირველწოდებულის მიერ შემობრძანებული ხატი იყო ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი, რომელსაც ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე დაეკისრა მოციქულებრივი მისია ღვთისმშობლის მაგიერ, ამიტომაც იგი აუცილებლად იქნებოდა განდიდებული სასწაულების აღსრულებით, ისევე როგორც მოციქულთა მიერ აღესრულებოდა „მრავალი ნიშები და სასწაულები" (საქმე 2.43) ურწმუნოთა მოსაქცევად. მოციქულებრივი მისია, ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, გულისხმობს ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდით შენარჩუნებას ეკლესიის ფარგლებში და მოიცავს ეკლესიის წევრთა სულიერ ზრდა-განვითარებაზე ზრუნვასაც. ამ მისიას ღვთისმშობელი, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთერთი დამაარსებელი და მფარველი, მუდამ აღასრულებდა (და დღესაც აღასრულებს) თავის წარგზავნილთა ხელით (წმინდა ნინო, 13 ასურელი მამა) ან თავისი სასწაულთმოქმედი ხატების მეშვეობით. ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი სწორედ ამ მადლის მატარებელი ხატია. მისი მნიშვნელობა და მისია — მართლმადიდებლობის დაცვა — გამოვლინდა ხატმებრძოლეობის დროს აღსრულებული სასწაულით და მეათე საუკუნეში გაცხადდა მთელი მართლმადიდებელი სამყაროსათვის, როცა იგი სასწაულებრივი გზით მიბრძანდა ათონის მთაზე, ქართველთა მონასტერში და თავისი მადლითა და მფარველობით გააბრწყინა არა მარტო ივერთა მონასტერი, როგორც მძლავრი ქართული საგანმანათლებლო კერა, არამედ მთელი ათონის მთა, რომელიც დღემდე ითვლება მსოფლიო ქრისტიანულ ცენტრად და მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველად.

მე-3 გვერდზე

ოფიციალური გვერდი

ბრძანება

№118/01-01 04.10.2013

„ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ" რექტორის 2013 წლის 8 ივლისის №71/01-01 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ" რექტორის 2013 წლის 8 ივლისის №71/01-01 ბრძანებაში":

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ".

ბ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის სამსახურში მისაღებად;"

გ) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტის პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

დ) ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. კონკურსი „გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულებით პროფესორის სამსახურში მისაღებად."

ე) ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5 პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით (ფაილის ფორმატი - Word და PDF);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია."

2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

3. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ "თბილისის უნივერსიტეტში".

4. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, აკადემიკოსი
ვლადიმერ პაპავა

№122/01-01 15.10.2013

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებულ პროფესორთა სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის 31 დადგენილებით დამტკიცებული ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 11 სექტემბრის №14/04 ერთობლივი ბრძანების „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ნ. მაჭარაშვილის 2013 წლის 7 ოქტომბრის №31640/02 და №31645/02 წერილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის და ასოცირებულ პროფესორთა სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

4. კონკურსი გამოცხადდეს 2013 წლის 15 ოქტომბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 18 ნოემბრიდან 2013 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ-ის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2013 წლის 25 დეკემბრისა.

5. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა სამსახურში მისაღებად შემდეგი მიმართულებებით:

პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულება
პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ფსიქოლოგიის მიმართულება
ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული.

6. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი.

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

7. საკონკურსო დოკუმენტების მიღება 2013 წლის 18 ნოემბრიდან 2013 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით 930-დან 1800 საათამდე. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. № 8 (VI კორპუსი) ოთახი №202;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი";

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

10. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, აკადემიკოსი
ვლადიმერ პაპავა

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ �პᲐᲐᲢᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔ ᲗᲡᲣ-Ს ᲔᲬᲕᲔᲕᲐ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ-ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ

4 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ფონდების — „იავნანა" და „ივერიისა" დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე ეწვევა. პაატა ბურჭულაძე თსუ-ის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეხვდება. შეხვედრა მიეძღვნება მახათას მთაზე მიმდინარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობას. შეხვედრის ორგანიზატორი და საინფორმაციო მხარდამჭერია გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქცია.

ქ. თბილისში, მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობს. ამ ტაძარს მთელი საქართველო და ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულეები ერთიანი ძალისხმევით აშენებენ. სახალხო აქციაში ათასობით ადამიანია გაერთიანებული. მასში უკვე 204 000-ზე მეტი ადამიანია ჩართული.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ასაშენებლად 2010 წლის 27 ივლისს დაფუძნდა ფონდი „ივერიისა", რომელსაც პაატა ბურჭულაძე ჩაუდგა სათავეში. დაარსების დღიდან ფონდმა მიზნად დაისახა, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი მთელ საქართველოს ერთიანი ძალისხმევით აეშენებინა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა უნიკალური სქემა, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად შემოწირულობისა, თანაბარ პირობებშია ჩაყენებული ყველა შემომწირველი. თითოეულ მოქალაქეს საშუალება აქვს შემოწირულობა მისი ახლობელი ადამიანების სახელზეც გაიღოს, როგორც ცოცხლებზე, ისე გარდაცვლილებზეც. ყველა ეს ადამიანი ტაძრის აღმშენებლად ჩაითვლება და მათი სახელები სამუდამოდ დარჩება ისტორიას.

> ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲓᲐᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲜᲙᲔᲢᲔᲑᲘ. ᲐᲜᲙᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲐᲓ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔᲪ. ᲐᲜᲙᲔᲢᲐᲨᲘ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲩᲐᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲓ. ᲐᲜᲙᲔᲢᲐᲨᲘ ᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲬᲔᲠᲐᲪ.
> ᲐᲜᲙᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲝᲤᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝᲗ: თბილისი, პეკინის ქ. № 28, ᲤᲝᲜᲓᲘ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲐ" ᲐᲜ ᲕᲔᲑ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: www.makhata.ge

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲝᲑᲐ ᲢᲐᲫᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲘᲦᲝ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲝᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲝᲑᲐᲛ ᲘᲚᲘᲐ II-Მ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲔᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲨᲘ ᲑᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ ᲤᲝᲜ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲐ"-Ს (ᲡᲐᲘᲓᲔᲜᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲓᲘ: 404868318) ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ. ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲘᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲕᲐ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲓᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲘᲭᲠᲔᲑᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲐ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲖᲔ.

ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲛᲔᲢᲠᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲕᲘᲓᲔᲝ-ᲙᲐᲛᲔᲠᲔᲑᲘ. ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲘᲢᲖᲔ www.makhata.ge ᲨᲔᲡᲕᲚᲐ, ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲦᲘᲚᲐᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ LIVE WEBCAM ᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝᲡ — ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ.

> ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲔᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲨᲘ ᲑᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ ᲤᲝᲜ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲐ"-Ს (ᲡᲐᲘᲓᲔᲜᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲓᲘ: 404868318) ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ. ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲘᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲕᲐ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲓᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲘᲭᲠᲔᲑᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲐ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲖᲔ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2700 m^2 ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ, ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲡ ᲥᲕᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲛ �პᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲛᲘᲘᲢᲐᲜᲐ.

2013 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲙᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ. ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ „ᲑᲙ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘ".

> ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲕᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲬᲘᲒᲜᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ **ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐᲛ**

ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲬᲛᲘᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲠᲐ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲡ ᲛᲗᲐᲖᲔ ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲬᲛᲘᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔ ᲢᲐᲫᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ?

1989 წ. ჩვენი უწმიდესის ლოცვა-კურთხევით და თხოვნით, ათონის მთაზე, ათონელი ბერების ხელით დაიწერა ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის კანონიერი ასლი (დედნის ტოლფასი, ზუსტი ასლი), რომელიც, ღვთის განგებით, საქართველოში ჩამობრძანდა 1989 წლის 9 ოქტომბერს, 9 აპრილის ტრაგედიიდან ზუსტად ექვსი თვის თავზე, როცა ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას ჯერ კიდევ აჩნდა სხვა ქვეყნის ჯარისკაცთა ბასრი ნიჩბებით მიყენებული ჭრილობებიდან გადმოდენილი, თავისუფლებისათვის დაღვრილი ქართული სისხლის ნაკვალევი. შესაძლოა ამიტომაც, ამ ხატის საქართველოში ჩამობრძანება ქართველმა ხალხმა აღიქვა როგორც ნიშანი ღვთისმშობელთან სულიერი ახლობლობისა, როგორც ნიშანი ღვთისმშობლის თანადგომისა და მფარველობისა და ეს ხატი, სისხლიანი ჭრილობით სახეზე, და მისი თაყვანისცემა, ქართველი ხალხისათვის იქცა ღვთისმშობლისადმი უდიდესი თაყვანისცემისა და სიყვარულის გამოხატვის საშუალებად. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელზე ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის აგებისა და ამ მშენებლობაში სრულიად საქართველოს მოსახლეობის ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს ქართველი ერის გაერთიანებას ღვთისმშობლის ირგვლივ და მის მიერ მართლმადიდებლობის, როგორც ჭეშმარიტი სარწმუნოების, კვლავ „ქართველთა სიქადულად" აღიარებას. ეს მარადიული ჭრილობა ივერიის ღვთისმშობლის ხატზე მარადიულად შეგვახსენებს, რომ მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ჭეშმარიტების წინააღმდეგ მიმართულმა კიდევ ერთმა მახვილმა განვლო ღვთისმშობლის სულში და ამიტომ ასევე მარადიულად მოგვიწოდებს, რომ მტკიცედ დავიცვათ ჭეშმარიტი საეკლესიო სწავლება, ხოლო ღვთისმშობლის სახელობის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც დაფუძნდება ამ სამონასტრო კომპლექსში, ყოველთვის იზრუნებს ჩვენი ეკლესიის წევრთა არა მარტო რაოდენობრივ ზრდაზე, არამედ მათი სულიერების ხარისხის ამაღლებაზე, რადგან ჭეშმარიტად თავისუფალი ქვეყნის შექმნას, უპირველესად, ჭეშმარიტად თავისუფალი საზოგადოების შექმნა სჭირდება.

> ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲡᲨᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲘᲖᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲖᲠᲓᲐᲖᲔ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐᲖᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ, ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

საქართველოში ამის უდიდესი ტრადიცია არსებობს. ტაო-კლარჯეთში, ბიზანტიის მახლობლად, სადაც ხატმებრძოლეობა იყო, სწორედ VIII-IX ს.ს.-ში დუღდა სამონასტრო ცხოვრება, სადაც შავი სამღვდელოება პიროვნული სიწმინდისა და წმინდა ლოცვების ძალის გამო, ამქვეყნიურ მხედრობასთან ერთად, მომავალი ერთიანი სახელმწიფოს ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენდა. საქართველოში ეს ტრადიცია დაირღვა მეოცე საუკუნეში, როცა ქვეყანაში გაბატონდა ათეისტური რეჟიმი. ათეისტებმა დაანგრიეს ეკლესია-მონასტრები, მიითვისეს საეკლესიო ქონება, მიწები, შეურაცხყვეს და ფიზიკურად გაანადგურეს ხატებიც და სასულიერო პირებიც, და, ფაქტობრივად, ჩაიდინეს იგივე ბოროტება, რაც VIII-IX ს.ს.-ში „ჭეშმარიტების" დაცვის სახელით ჩაიდინეს ხატმებრძოლებმა. ეს გვაფიქრებინებს, რომ ხატმებრძოლეობა არ არის მხოლოდ ისტორიული ფაქტი. ეს არის მოვლენა, რომელიც შეიძლება ნებისმიერ ეპოქაში განმეორდეს, თუ საზოგადოებაში არ იქნება დაცული ჭეშმარიტი ეკლესიური სწავლება და მართლმადიდებლობისათვის თავდადება. ამას ყოველწლიურად შეგვახსენებს მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია, როცა ხატმებრძოლეობაზე საბოლოო გამარჯვების აღსანიშნავად დაწესებულ დღესასწაულს ზეიმობს, როგორც მართლმადიდებლობის ზეიმს.

დღეს საზოგადოებას ჯერ კიდევ სჭირდება ათეისტური აზროვნებისაგან სრული განთავისუფლება, არაეკლესიური ცნობიერების დაძლევა და იმის რწმენა, რომ სიწმინდით ცხოვრება იცავს ბოროტი ძალის ზემოქმედებისაგან როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე — მთელ ერს: „უფალმან არა მოაკლოს კეთილი, რომელნი ვლენან უბიწოდ" (ფს. 83,11) — გვასწავლის საღმრთო წერილი. და ვინც მიიღებს ამ სწავლებას, მას უფალი არ მოაკლებს თავის წყალობას, უბიწოდ სვლაში კი, გვჯერა, რომ განსაკუთრებულად შეგვეწევა ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი.

ჯასუხი კითხვაზე
მოსაზრება

საუბრები უნივერსიტეტის სტრუქტურული მოწყობის შესახებ

უნდა დაიყოს თუ არა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი?

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან რექტორის შეხვედრის დროს გამოიკვეთა ფაკულტეტების დაშლის შესახებ მოსაზრებათა გაცვლის აუცილებლობა. შეხვედრაზე კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულების პროფესორმა ალექსანდრე გამყრელიძემ წამოაყენა წინადადება — ამ თემაზე დისკუსია გაიშალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, რასაც მხარი დაუჭირა უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

შეხვედრის შემდეგ ცოტა დრო გავიდა, თუმცა „თბილისის უნივერსიტეტმა“ უკვე დაიწყო პროფესორ-მასწავლებლების მოსაზრებათა გამოკითხვა.

ფაკულტეტების დაშლის და, ზოგადად, უნივერსიტეტის სტრუქტურული მოწყობის შესახებ საუბრობენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცნიერები.



გიორგი ჯაიანი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი, მათემატიკის მიმართულების პროფესორი:

— ყოველთვის მომხრე ვიყავი, რომ ფაკულტეტი ასეთი სახით ყოფილიყო ფორმირებული, რადგან დასავლეთის უნივერსიტეტებშიც იშვიათად არის გაყოფილი მათემატიკური და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები. ამ საკითხს მეცნიერული თვალსაზრისით და სასწავლო პროცესიდან გამომდინარე ვუდგები. ფაკულტეტის ერთიანობის შემთხვევაში სხვადასხვა დარგის მეცნიერები ერთმანეთთან უფრო დაახლოებულები არიან და უკეთესად ვითარდებიან. რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე განვითარებაც შესაძლებელია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში თითოეული ქმნის თავის სამყაროს და ის ფეხს ვეღარ აუწყობს მოწინავე უნივერსიტეტებში მეცნიერების განვითარების ტემპს. სასწავლო პროცესიც შესაბამისად უნდა იყოს აწყობილი.

თამაზ კერესელიძე,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი, ფიზიკის მიმართულების პროფესორი:

— მივესალმები ფაკულტეტის დაყოფას. რა თქმა უნდა ისე არა, როგორც ადრე იყო, თუმცა ორ ან სამ მიმართულებად რომ გაიყოს, აუცილებელია. ვფიქრობ, ეს ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას, მაგრამ ამ ეტაპზე მიმაჩნია, ფაკულტეტის დაყოფისგან უკეთესია თავი შევიკავოთ. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. ერთერთია, სტუდენტების მცირე რაოდენობა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მიმართულებებზე. დაყოფა ასევე მოითხოვს ცალკე ადმინისტრაციის შექმნას, დამატებით ფინანსებს, რაც ფაკულტეტის პროფესურის ანაზღაურების შემცირებას გამოიწვევს. ამასთანავე, ცვლილებების გატარების შემდეგ ახალი არჩევნების ჩატარება გახდება აუცილებელი, რასაც, როგორც ყოველთვის, ბრძოლა და ურთიერთბრალდებები მოყვება... ამ ეტაპზე ასეთი ვითარება ნამდვილად არ არის სასურველი.

მოგვიანებით, თუ ფაკულტეტზე სტუდენტების რიცხვი გაიზრდება, შესაძლებელია ფაკულტეტის დაყოფაზე აქტიური მსჯელობის დაწყება, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ამის გაკეთება ახლა მიზანშეუწონლად მიმაჩნია.

ალექსანდრე შენგელაია,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი, ფიზიკის მიმართულების პროფესორი:

— ამ ეტაპზე მიმაჩნია, რომ ეს არ არის ყველაზე აქტუალური საკითხი, რომელიც ფაკულტეტს აწუხებს და მის განვითარებას უშლის ხელს. არსებობს უფრო მნიშვნელოვანიც, მაგალითად, ფაკულტეტის დაფინანსება. ფაკულტეტის გაყოფა ადმინისტრაციული ხარჯების უფრო მეტად ზრდას გამოიწვევს. ფაკულტეტი დაყოფილია დეპარტამენტებად და პრინციპში თითოეული დეპარტამენტი ავტონომიურია და მის განვითარებას ხელს ის კი არ უშლის, რომ ცალკე ფაკულტეტი არ ჰქვია, არამედ ის, რომ ფიზიკას არ აქვს საკმარისი დაფინანსება ლაბორატორიების კეთილმოსაწყობად, სამეცნიერო ლიტერატურის შესაძენად და ა.შ. ამიტომ ფაკულტეტის დაყოფა ამ პრობლემას ვერ მოხსნის, პირიქით, გაამწვავებს, რადგან ხარჯები გაიზრდება. ყველა ფაკულტეტს დასჭირდება თავისი დეკანი, მოადგილე, ადმინისტრაციული პერსონალი და ა. შ.

რამინ გოგეჯიშვილი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი, გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი:

— ვფიქრობ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი უნდა დაიყოს. შედეგად სწავლება გაუმჯობესდება, ეს მეცნიერების განვითარებისა და ადმინისტრირების კუთხითაც აუცილებელია. როდესაც საბჭოზე დაისვა ეს საკითხი, დაყოფის მომხრე ვიყავი. გეოგრაფიისა და გეოლოგიის დეპარტამენტი აუცილებლად ცალკე უნდა იყოს.

ზოთა სამსონია,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი, ქიმიის მიმართულების პროფესორი:

— ჩვენ ფაკულტეტის გაყოფის წინააღმდეგები ვიყავით. ახლა ჩვენს მიმართულებაზე სწავლება უფასოა, სტუდენტების რაოდენობაც გაიზარდა და აუცილებელია, ფაკულტეტი ორ ან სამ ნაწილად დაიყოს. ფაკულტეტის შიგნით განხილვის პროცესი დაწყებულია. წინასწარ თქმა არ შემიძლია, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა შევჯერდებით და დეკანატთან შეთანხმებით დავაყენებთ ამ საკითხს.

უშანგი გოგინავა,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი, მათემატიკის მიმართულების პროფესორი:

— ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დაყოფის წინააღმდეგი ვარ. მგონი ადმინისტრაციული საკითხები კარგად არის აწყობილი. გაყოფა კი ისევ გამოიწვევს ამ მიმართულებით გარკვეულ არეულობას. როდესაც ფაკულტეტი გაერთიანდა, ფაქტობრივად, დალაგებას რამდენიმე წელი დასჭირდა. დაშლა კი ისევ გამოიწვევს ანალოგიური სახის პროცესებს.

მოამზადა **ნატო ობოლაძემ**

კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი

23 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი „მულტიკულტურიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“, რომელშიც 15 ქვეყნის 70-მდე მეცნიერი მონაწილეობდა.

კონგრესის მიზანი იყო კავკასიის, როგორც მულტიკულტურალიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებული რეგიონის შესახებ არსებული ცოდნის გაღრმავება და სამეცნიერო დისკუსიის მოწყობა; რეგიონში ამ მიმართულებით მოღვაწე მკვლევართა ინტეგრაცია; კავკასიოლოგიის საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემატიკის გამოკვეთა; პრობლემათა მეცნიერული საფუძვლების განხილვა და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

მაია ტორაძე

კონგრესის მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, რომელმაც აღნიშნა, რომ კავკასიოლოგია იყო უნივერსიტეტის დაარსების დღიდანვე წამყვანი სამეცნიერო-სასწავლო მიმართულება, რომელსაც არნოლდ ჩიქობავას ღვაწლი დღემდე გასდევს. კავკასიოლოგიის ინსტიტუტი კი დღესაც წარმატებით აგრძელებს კავკასიოლოგიის მნიშვნელოვანი ცენტრის ფუნქციებს. „კონგრესის მონაწილეთა სიმრავლე და ინტერდისციპლინარული დარგების ფართო სპექტრი უდავო დასტურია იმისა, რომ კავკასიისადმი, როგორც განსაკუთრებული მულტიკულტურული სივრცისადმი, ინტერესი დიდია. კავკასიის შემსწავლელი სამეცნიერო დარგები, საერთაშორისო კავკასიოლოგიური ცენტრების ინტეგრირება და სამეცნიერო საკითხების ინტერნაციონალიზაცია გამოარჩევს კავკასიოლოგთა სამეცნიერო კონგრესს თავისი მასშტაბურობითა და ინოვაციურობით. ლინგვისტების, ისტორიკოსების, ეთნოლოგების, ანთროპოლოგების, ხელოვნებათმცოდნეების, ლიტერატორების, ფოლკლორისტების, არქეოლოგების სამეცნიერო პოლემიკა კონგრესის შედეგიანობას განსაზღვრავს. აქ წარმოდგენილი კვლევები კი ხელს შეუწყობს კავკასიოლოგიის შემდგომ განვითარებას და მეცნიერულ-კულტურული ურთიერთობების განმტკიცებას“, — აღნიშნა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

წელს კავკასიოლოგიის კონგრესი მესამედ გაიმართა. 2007 წელს კავკასიოლოგთა პირველმა კონგრესმა გამოკვეთა კავკასიური ცივილიზაციის ადგილი მახლობელი აღმოსავლეთის ლინგვო-კულტურულ კონტექსტში. მეორე კონგრესმა განსაზღვრა კავკასიის როლი ცივილიზაციის ისტორიაში და გამოკვეთა მისი თანამედროვეობის მთავარი მახასიათებელი. ამავე კონგრესმა საფუძველი ჩაუყარა მესამე კონგრესს, რომლის მთავარი თემა იყო „მულტიკულტურიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“.

კონფერენციის ორგანიზატორმა, თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ცირა ბარამიძემ კონგრესის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ იგი ხელს შეუწყობს ისეთი საკითხების გაანალიზებას, როგორიცაა მშვიდობიანი გზით პრობლემების დარეგულირება, კავკასიელი ხალხების მშვიდობიანი თანაცხოვრება, კავკასიის ყველაზე სენსიტიური საკითხების — ტოლერანტობის, შემწყნარებლობის და ტრადიციების შენარჩუნება და თანამედროვეობაში ტრანსფორმირება.

კონგრესის მონაწილენი თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში სამი დღის მანძილზე იხილავდა პრობლემურ საკითხებს. თითოეული მათგანი სამეცნიერო თვალსაზრისით სიახლეს შეიცავდა.

კონგრესის დასასრულ გაიმართა დისკუსია იმ პრობლემებისა და რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც იდგა და დღესაც დგას კავკასიელი ხალხების წინაშე: შესაძლებელია თუ არა ტოლერანტიზმის რესტავრაცია იმ სახით, რომელიც კავკასიას გააჩნდა.

„ყველა აქ წარმოდგენილი ქვეყანა წამყვან როლს ასრულებს კავკასიოლოგიაში, მაგრამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახლავთ კავკასიოლოგიის აღიარებული საერთაშორისო ცენტრი, რომლის მასშტაბი როგორც სასწავლო, ასევე, სამეცნიერო კუთხით განსაკუთრებული და ფართომასშტაბიანია, რადგან იგი კავკასიას განიხილავს გლობალური, მთლიანი რეგიონთმცოდნეობის თვალსაზრისით“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ცირა ბარამიძემ.

კავკასიოლოგთა კონგრესი, რომელიც კვლავ გაიმართება, მონაწილეთა აზრით, ხელს შეუწყობს კავკასიელ ხალხთა შორის გარკვეული მიზეზების გამო გაჩენილი გაუცხოების გადალახვას, აღდგენილი სამეცნიერო ურთიერთობების გაღრმავებას, ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებას, საერთაშორისო კავკასიოლოგიური სამეცნიერო ცენტრებისა და კავკასიის შემსწავლელი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგების ინტეგრირებას, მეცნიერთა დაახლოებას, მშვიდობის დამყარებას კავკასიაში.

INFO

საერთაშორისო სტომატოლოგიური კონფერენცია „დენტალ თბილისობა 2013“

12 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სტომატოლოგიურ კონფერენცია „დენტალ თბილისობა 2013“ გაიმართა. კონფერენციაზე სტომატოლოგიაში ახალი თაობის იმპლანტებზე, თანამედროვე სტომატოლოგიის შესაძლებლობებსა და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივებსა და პრობლემებზე ისაუბრეს.

კონფერენცია უკვე მეშვიდედ გაიმართა და მასზე მოხსენებები მსოფლიოში ცნობილმა პროფესორებმა წაიკითხეს საქართველოდან, ისრაელიდან, ლუქსემბურგიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ღონისძიებაზე განიხილეს თანამედროვე სტომატოლოგიის აქტუალური საკითხები, ახალი მიდგომები კბილის ტრავმის მკურნალობაში, ბაზალური იმპლანტაციის საფუძვლები, კარიესის პრევენციის მენეჯმენტი, უახლესი კომპოზიტური მასალები. ასევე წარმოდგენილი იყო მოხსენება ევროპის უწყვეტი სტომატოლოგიური განათლების სისტემის შესახებ და საქართველოს ინტეგრირების პროცესი ამ სისტემაში.

თელავივის უნივერსიტეტის პედიატრიული სტომატოლოგიის პროფესორმა ბეჯამინ პერესმა კბილის ტრავმის მკურნალობაში არსებულ ახალ მიდგომებზე ისაუბრა. მისი თქმით, „ბავშვების უმრავლესობა კბილის ტრავმით იტანჯება და მნიშვნელოვანია, რომ დროულად მოვახდინოთ რეაგირება. დღეს უკვე არსებობს ახალი ტექნოლოგიები და მიდგომები ამ მიმართულებით და მოხარული ვარ, რომ ხდება ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის“.

„მსგავსი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან კონფერენციაზე სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული პროფესორები გვიზიარებენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას თანამედროვე სტომატოლოგიის შესაძლებლობებზე, რაც ვფიქრობ, ხელს შეუწყობს საქართველოში სტომატოლოგიის განვითარებას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას“, — განაცხადა სტომატოლოგთა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა, თსუ-ის პროფესორმა მერაბ მარგველაშვილმა.

ღონისძიება სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის უწყვეტი განათლების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა.

კონფერენცია საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა.

თსუ-ის დოქტორანტების აზრი პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნაზე

დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურების აუცილებლობაზე რექტორი ლადო პაპავა ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აქტიურად საუბრობდა. მის კონცეფციაში პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნის იდეა წამყვანი თემაა, რაც გულისხმობს იმას, რომ მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა დაასრულებს დოქტორანტურას და მოიპოვებს ხარისხს, თუ მას სამეცნიერო მუშაობის გაგრძელების სურვილი ექნება, ასეთ შემთხვევაში პოსტოქტორანტის პოზიცია გარკვეული ანაზღაურებით დაენიშნება. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, უნივერსიტეტი კონკურსის საფუძველზე შესთავაზებს როგორც ქართველ, ისე უცხოელ პერსპექტიულ დოქტორებს 2-3 წლიან კონტრაქტებს, რის საფუძველზეც ისინი აქტიურად ჩაერთვებიან სამეცნიერო კვლევებში.

„ნიჭიერი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების კონცენტრაციის მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის (როგორც ეს უკვე კარგა ხანია აპრობირებულია აშშ, დასავლეთ ევროპისა და ავსტრალიის წამყვან უნივერსიტეტებში) შემოღებას. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი საზრუნავი უნდა გახდეს უნივერსიტეტის კედლებში გამოზრდილი ახალგაზრდა დოქტორების ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პოსტდოქტორანტურაში კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება,“ — ნათქვამია რექტორის კონცეფციაში.

პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის დებულებაზე გარკვეული ჯგუფი უკვე მუშაობს. თსუ-ის ფინანსურ დეპარტამენტს მიცემული აქვს დავალება, გამოყონ გარკვეული ფინანსები. 2014 წლიდან თითო ფაკულტეტზე გამოიყოფა ორი ადგილი პოსტდოქტორანტურაში საქმიანობის გასაგრძელებლად. ადგილების დასაკავებლად დოქტორანტების შერჩევა კონკურსის სახით მოხდება.

მოგწონთ თუ არა პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნის იდეა?

გვანცა წულაია,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი:

— მისასალმებელია ბატონ ვლადიმერ პაპავას ინიციატივა უნივერსიტეტში პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნის თაობაზე. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დოქტორანტურა ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლების ყველაზე სუსტი რგოლია. მიზეზი მრავალია, ერთერთი უმთავრესი კი მოტივაციის უქონლობაა, ვინაიდან სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ არ ხდება ამ ადამიანებისათვის სათანადო პირობების შეთავაზება, რათა გააგრძელონ სამეცნიერო-კვლევითი თუ აკადემიური საქმიანობა. შედეგად, ნიჭიერი ახალგაზრდები გაედინებიან ქვეყნიდან (ვინც ამას ახერხებს), ზოგიერთები კი საერთოდ „იკარგებიან“. აქვს კი ჩვენს სახელმწიფოს ამგვარი „ფუფუნების“ უფლება?! ასეთი მწირი შესაძლებლობის ფარგლებში დავხარჯოთ თანხები კადრების მომზადებაზე და შემდგომ არაფრის ფასად გადავაბაროთ სხვებს – რა თქმა უნდა არა!

იდეის მიმართ ჩემი დამოკიდებულება ცალსახად დადებითია. უფრო მეტიც, ყველა ღონე უნდა იხმაროს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, რათა მოზიდული იქნეს რაც შეიძლება მეტი თანხა იმისათვის, რომ ფაკულტეტზე შეირჩეს არა მხოლოდ 2 ვაკანსია, არამედ იმდენი, რამდენი კონკურსანტიც გადალახავს, რაღაც დადგენილ, გარკვეულ მინიმალურ ზღვარს („თამასას“). ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ნიჭიერი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების კონცენტრაციას. მათი საშუალებით შეიქმნება მრავალი მონოგრაფია, სამეცნიერო ნაშრომი, სახელმძღვანელო (რისი დეფიციტიც ასე მწვავეა), ითარგმნება მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო ცენტრების მრავალი უახლესი ნაშრომი და სხვა. ამით გაიზრდება კონკურენცია, რაც საბოლოოდ საუნივერსიტეტო სწავლის ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდის. შემდგომში, თუ ვიფიქრებთ ტენუარის პრინციპის დანერგვაზე, ასარჩევი მრავლიდან გვეყოლება. რაც შეეხება დაფინანსების მოძიებას, ეს შესაძლებელია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან (პირველ ეტაპზე), ასევე გრანტების მოპოვებით და ბატონ ვლადიმერ პაპავას კიდევ ერთი შესანიშნავი იდეის – სამმაგი სპირალის პრინციპის (უნივერსიტეტი, სახელმწიფო, ბიზნესი) პრაქტიკაში აუცილებელი განხორციელებით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ამ უკანასკნელის დასანერგად სრულ მზადყოფნაშია.

ნატო ქიტიაშვილი,
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი:

— აღნიშნული იდეის რეალიზაციისათვის არსებითად მიმაჩნია საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლებისა და შესაბამისი უცხოური ლიტერატურის გაცნობის შესაძლებლობების უნივერსიტეტის ფარგლებში მოძიება. მიმაჩნია, რომ პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტისადმი ნდობის მოპოვების მიზნით, აუცილებელია, დეტალურად გაიწეროს კონკურსის პირობები, დოქტორთა შერჩევის კრიტერიუმები და წესი, რათა მაქსიმალურად გამჭვირვალედ და სამართლიანად მოხდეს პოსტდოქტორანტურაში პირთა შერჩევა.

გიორგი მელიქიძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი:

— აღნიშნული ინიციატივა მეტად საინტერესო და საყურადღებოა. ვფიქრობ, რომ მისი განხორციელება ახალგაზრდა, დამწყები მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი სტიმული, ხოლო საუნივერსიტეტო ცხოვრებისთვის ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნის იდეა არ გულისხმობს მხოლოდ ერთი მიმართულებით სარგებლობის მოტანას და მას სხვადასხვა უპირატესობა აქვს, კერძოდ: ახალგაზრდა დოქტორანტისთვის, რომელიც დაინტერესებულია სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შემდეგ გააგრძელოს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა, ახალი, მისთვის ხელსაყრელი გარემო იქმნება; უნივერსიტეტს შესაძლებლობა ექნება თავად აღზარდოს და ხელი შეუწყოს იმ აკადემიური კადრების მომზადებასა და განვითარებას, რომელიც დიდი ალბათობით, სამომავლოდ, ისევ უნივერსიტეტში გააგრძელებს საქმიანობას; ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ აღნიშნული ინიციატივის განხორციელება მეცნიერების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ხელშეწყობა იქნება.

საინტერესოა ის კრიტერიუმებიც, რომლის მეშვეობითაც უნივერსიტეტი მოახდენს ახალგაზრდა დოქტორების შერჩევას პოსდოქტორანტურის ინსტიტუტისთვის. ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტმა თავად უნდა გაუწიოს რეკომენდაცია საკუთარ ყოფილ დოქტორანტს, წამახალისებელ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ დოქტორანტებისათვის. ახალგაზრდა დოქტორების შერჩევის კრიტერიუმები, ცხადია, მის სამეცნიერო ნაშრომს, ცოდნასა და შესაძლებლობებს დაეყრდნობა. საინტერესო იქნება სხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილების ანალიზი და ადგილობრივი გარემოს გათვალისწინებით ერთგვარი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

დავით კურტანიძე,
თსუ-ის იურიდიულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი:

— პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შემოღების თაობაზე თსუ-ის რექტორის ინიციატივა ძალიან შთამბეჭდავი და ადეკვატურია. პოსტდოქტორანტურა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში დიდი ხანია არსებობს და მისი საქართველოში შემოღებაც ძალიან მნიშვნელოვანი, დროული და მისასალმებელია.

ჩემი აზრით, პოსტდოქტორანტურა მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადების ერთერთი ძალიან ეფექტური და თანამედროვე ფორმაა. პოსტსადოქტორო კვლევები სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელების კარგი ალტერნატივაა. პოსტდოქტორანტურის შემოღებით დოქტორანტურადამთავრებულებს მიეცემათ სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელების საშუალება, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო კარიერის გაგრძელებისათვის საჭირო პროფესიული უნარების შეძენას, უმაღლესი აკადემიური კვალიფიკაციის მოპოვებასა და სამეცნიერო გამოცდილების გაღრმავებას. იმას, რომ პოსტდოქტორანტებს შეუძლიათ არსებითი წვლილის შეტანა სამეცნიერო კვლევებში, ადასტურებს მსოფლიოს ქვეყნებში ჩატარებული კვლევებიც, რომლის თანახმადაც, პირველდაწყებით სამეცნიერო კვლევებში პოსტდოქტორანტების კვლევების წილი თითქმის ნახევარია.

აკაკი ლომია,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი:

— ჩემი აზრი პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნის ინიციატივასთან დაკავშირებით ცალსახაა: ვთვლი, რომ აუცილებელიც კი არის ასეთი ინსტიტუტის არსებობა, თუკი ამით დოქტორანტურის კურსდამთავრებულს გაუადვილდება მომავალი საქმიანობა.

დოქტორს არ უნდა სჭირდებოდეს სამუშაო ადგილის ძებნა. კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი ამ პრობლემის მოგვარებას თავის თავზე აიღებს და თვითონვე დაასაქმებს თავისივე აღზრდილ სპეციალისტს. უნივერსიტეტიც უნდა იყოს დაინტერესებული დოქტორისათვის სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელებისათვის საჭირო პირობების შექმნით, რათა დოქტორმა დროულად და ეფექტურად განახორციელოს თავისი სამეცნიერო მიზნები. კარგი იქნებოდა, უნივერსიტეტი დახმარებას უწევდეს დოქტორებს ტექნიკური ბაზის შეთავაზებით და, ამასთანავე, უზრუნველყოფდეს მათ კავშირებს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ წამყვან სპეციალისტებთან.

ერთ რამეზეც მინდა გავამახვილო ყურადღება: არ მიმაჩნია საკმარისად თითო ფაკულტეტისათვის მხოლოდ ორი ადგილის შეთავაზება. უმჯობესი იქნება, მოხდეს განსაზღვრა, თუ რამდენი დოქტორანტი ირიცხება საშუალოდ თითოეულ ფაკულტეტზე და მხოლოდ ამის მიხედვით მოხდეს მათთვის ადგილების გამოყოფა პოსტდოქტორანტურაში.

ეკა ღვინჯილია,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი:

— სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას კონკურსში, რადგან ჩემი სადისერტაციო ნაშრომი აქტუალობას არ დაკარგავს ორი წლის შემდეგაც, რადგან იგი ეხება მაკროეკონომიკური რეგულირების ფისკალურ ინსტრუმენტებსა და მათი სრულყოფის გზებს. საკითხის შემდგომი დამუშავება ხელს შეუწყობს უფრო კომპლექსურ მიდგომას და მიღებული დასკვნები დიდი ალბათობით ხელს შეუწყობს ფისკალურ სფეროში ახალი მიდგომებისა და პოლიტიკის გატარებას. ამდენად, სამეცნიერო საქმიანობის წახალისების, პოპულარიზაციისა და ხელშეწყობისთვის რექტორის მიერ შემოთავაზებული გზა, ვფიქრობ, ძალიან რაციონალური, ეფექტიანი და შედეგიანი იქნება.

მაკა ჭითანავა,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი:

— პოსტოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნის იდეა მომწონს. ვფიქრობ, რომ 2 ვაკანსია, საწყისს ეტაპზე, ფაკულტეტისათვის საკმარისია. მომწონს ისიც, რომ ეს ვაკანსია ღია იქნება საერთაშორისო სტუდენტებისათვის, რაც გამოიწვევს კონკურენციის გაზრდას. კარგი იქნება, თუ ახლად შექმნილი ინსტიტუტი მჭიდროდ ითანამშრომლებს დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების მსგავს ინსიტიტუტებთან, რაც საშუალებას მოგვცემს გავიზიაროთ მათი გამოცდილება, არ ჩამოვრჩეთ სხვადასხვა მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებს და უზრუნველყოფილი იყოს მაღალი ხარისხი.

ნინო სულაძე,
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტი:

— პოსტოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნა ძალიან საინტერესო ინიციატივაა და კარგი იქნება — მსგავსი ინსტიტუტი ჩვენთანაც თუ იარსებებს. თუკი ხარისხის დაცვის შემდეგ დოქტორანტი ვერ მოახერხებს აკადემიური თანამდებობის დაკავებას უნივერსიტეტში, ამ შემთხვევაში, ალბათ, დიდი სიამოვნებით გააგრძელებს სამეცნიერო საქმიანობას, განსაკუთრებით მაშინ, თუკი დაფინანსებასაც მიიღებს.

კარგი იქნებოდა, ასევე, თუ სამედიცინო ფაკულტეტის დოქტორანტებისთვისაც მოიძებნებოდა ცოტა ფინანსები. მე, პირადად, ძალიან ძვირი მიჯდება სადოქტორო თემაზე მუშაობა, იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებაც საკმაო ფინანსებს მოითხოვს და ძალიან სამწუხაროა, რომ მცირედი დაფინანსებაც არსაიდან ხდება.

P.S. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიმდინარე სასწავლო წელს 37 სადოქტორო და 58 სამაგისტრო პროგრამაზე გამოაცხადა მიღება. ჩაირიცხა 1229 მაგისტრანტი და 194 დოქტორანტი.

სულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს 3222 მაგისტრანტი, მათ შორის: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 289; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 448; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 640; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე — 975; იურიდიულ ფაკულტეტზე — 605; მედიცინის ფაკულტეტზე — 21; ევროპისმცოდნეობაზე — 36; ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში – 165; ტურიზმის განვითარების ინსტიტუტში „ტურიზმი“ — 43.

რაც შეეხება დოქტორანტებს, მათი საერთო რაოდენობაა 1577, მათ შორის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 195; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 478; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 225; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე — 221; იურიდიულ ფაკულტეტზე — 351; მედიცინის ფაკულტეტზე — 101; ტურიზმის განვითარების ინსტიტუტში „ტურიზმი“ — 6;

***მოამზადა* თამარ ღადიანმა**

გზავნილი ადმინისტრაციას

რექტორთან შეხვედრის შემთხვევაში რა საკითხს წამოწევთ?

ნოდარ ელიზბარაშვილი,
თსუ-ის გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი:

„მარტყოფის სასწავლო ბაზა 52 წლის წინ შეიქმნა. ამ დროის მანძილზე იქ კავკასიის მთათაშორისი ბარის უნიკალური ეკოსისტემა ჩამოყალიბდა. სასწავლო ბაზაზე საველე პრაქტიკა გაიარა 10 ათასზე მეტმა სტუდენტმა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან და 2 ათასამდე უცხოელმა სტუდენტმა. აქ ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია, მომზადდა 20-ზე მეტი დისერტაცია და ათეულობით მონოგრაფია და სხვ. სასწავლო ბაზა 4 ჰექტარს მოიცავს. ეს არის უნიკალური ადგილი მთელ კავკასიაში, სადაც წარმოდგენილია რამდენიმე ლანდშაფტი და აღდგენილია ნათელი ტყის ეკოსისტემები. 2010 წლის 31 მარტის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კორესპონდენციის საფუძველზე, სასწავლო ბაზა სარგებლობაში გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, თუმცა ზუსტად ერთი წლის შემდეგ, იმავე სამინისტრომ გააუქმა სარგებლობის უფლება. აქედან ორ კვირაში ანუ 2011 წლის 8 აპრილს, სრულიად უკანონო და ჩვენთვის გაუგებარი პროცესების შედეგად, სასწრაფო წესით გამოცხადდა აუქციონი და მარტყოფის სასწავლო ბაზა გაიყიდა — კვადრატული მეტრი 3 ლარად. აღსანიშნავია, რომ აქ განთავსებულია 430 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, რომელსაც უნივერსიტეტი თავისი ხარჯებით 2009-2010 წლებში არემონტებდა. როდესაც ჩვენ, გეოგრაფებმა, გამოვთქვით პროტესტი, გვითხრეს, რომ ბაზის გაყიდვა სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა და რომ პროტესტისგან თავი შეგვეკავებინა. თუმცა ჩვენ, აუქციონის დღეს, რამდენიმე საათში შევაგროვეთ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ხელმოწერა და შევიტანეთ როგორც ეკონომიკის სამინისტროში, ისე პროკურატურაში. ჩვენ პროტესტს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. შემდგომში გაირკვა, რომ მარტყოფის სასწავლო ბაზა, სახელმწიფოსთან გარიგებით და სხვადასხვაგვარი მაქინაციის გზით, ადგილობრივმა მკვიდრმა მამუკა კაკაბაძემ იყიდა. ამჟამად აქ საქონელს აძოვებენ, რაც ნახევარი საუკუნის მანძილზე აღდგენილ ეკოსისტემას ანადგურებს. ცოტა ხნის წინ, როგორც ამბობენ, სასწავლო ბაზა ეკონომიკის სამინისტრომ დააყადაღა, რადგან მას იარაღის საწყობადაც იყენებდნენ. დეტალები ჩვენთვის უცნობია. ჩვენ წერილობით მივმართეთ რექტორს, აკადემიკოს ლადო პაპავას, დაინტერესებულიყო ამ საკითხით. ბატონ რექტორს ვაცნობეთ, რომ ამჟამად უკანონოდ გასხვისებული სასწავლო ბაზის დაბრუნებას მოითხოვს გეოგრაფიის დეპარტამენტის თითქმის ყველა სტუდენტი და აკადემიური პერსონალი. რექტორს ვაცნობეთ ისიც, რომ უკვე სამი წელია, ზემოთ აღნიშნულის გამო არ ტარდება კომპლექსური პრაქტიკები გეოგრაფიაში. სტუდენტები იძულებული არიან რამდენიმეს ნაცვლად ერთი საველე პრაქტიკა გაიარონ, რაც მათი ჯეროვანი კვალიფიკაციისთვის მიუღებელია. გვინდა, უნივერსიტეტთან ერთად ვიბრძოლოთ მარტყოფის სასწავლო ბაზის დაბრუნებისთვის და ველით თანადგომას რექტორის მხრიდან.

მეორე აქტუალური საკითხი, რის შესახებაც მინდა ვისაუბრო, ფაკულტეტის ბიუჯეტია. ჩვენ ძალზე ზედაპირულად ვიცით გეოგრაფიის მიმართულებით რა თანხა გვაქვს მივლინებების, ექსპედიციებისა და პრაქტიკების დაფინანსებისთვის. ჩვენ ვითხოვთ, რომ ბიუჯეტი დაიყოს დარგობრივად, რადგან ფიზიკას, ქიმიას, მათემატიკას და სხვა მიმართულებებს განსხვავებული სასწავლო სპეციფიკა და მოთხოვნები აქვს. არადა, რამდენიმე წლის წინ ფაკულტეტის საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ზემოთ აღნიშნული თანხების დარგობრივ განაწილებას და იგი, ფაკულტეტის საბჭოს მიერ, წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალა. გვინდა, იცოდეთ ისიც, რომ რეგიონული გეოგრაფიის შესასწავლად სტუდენტებს აუცილებლად ესაჭიროებათ შორეული პრაქტიკები, რაც ფაკულტეტის ბიუჯეტში არ არის გაწერილი. იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტი დარგობრივად დაიყოფა, გვეცოდინება — რა თანხა გვაქვს და ჩვენი სამივლინებო თუ სხვა ხარჯების ეკონომიის შედეგად შევძლებთ სტუდენტების შორეული პრაქტიკების თუნდაც ნაწილობრივ დაფინანსებას.

მესამე აქტუალური პრობლემა საფაკულტეტო სადისერტაციო საბჭოები და მათი წესდებაა. ჩვენთან მოქმედებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, რომლის წესდება გეოგრაფიის მიმართულების მოთხოვნებთან შესაბამისობაში არ მოდის. ჩვენთან ითხოვენ იგივეს, რასაც ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის ან ბიოლოგიის მიმართულებებზე. მაგალითად, წესდების მიხედვით დოქტორანტებს მოეთხოვებათ სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში, რისი საშუალებაც მათ პრაქტიკულად არ აქვთ. მიზეზი ორია – გეოგრაფიის მიმართულებით ასეთ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება 600-დან 800 ევრომდე ღირს და თანაც, როცა ავტორი არაცნობადი სახეა, თანხის გადახდასთან ერთად, 4-5 წელი უწევს ლოდინი. დამკვიდრდა მანკიერი პრაქტიკა — რამდენიმე, ხშირად 7-8 სპეციალისტი ერთიანდება, რათა ჩინეთის, ვიეტნამის, ფილიპინების ან სხვა მსგავსი ქვეყნის თითქმის არაგეოგრაფიულ ჟურნალში გამოაქვეყნონ სტატია. დაწესებული ბარიერის შედეგად გვქონდა 10-ზე მეტი შემთხვევა, როცა დისერტანტებმა ნაშრომის დასაცავად იმ უმაღლეს სასწავლებლებს მიმართეს, სადაც მოთხოვნები განსხვავებულია. უფრო მეტიც, 2005 წელს სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე „განთესილ" საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებას საერთოდ არ გააჩნია ანალოგიური მოთხოვნა. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი რომ არასწორად არის ფორმირებული, ეს დარგის განვითარებას ხელს არ უნდა უშლიდეს. ევროპის არც ერთ უნივერსიტეტში არ ითხოვენ გეოგრაფიაში იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებას, რადგან მათი რეიტინგი ყოველწლიურად იცვლება. იქ საუბარია რეფერირებად ან რეცენზირებად საერთაშორისო გამოცემებში ან საერთაშორისო კონფერენციის მასალებში პუბლიკაციების დაბეჭდვის აუცილებლობაზე. ამიტომ აუცილებელია, რომ სადისერტაციო საბჭოები და მათი წესდება შედგენილი იყოს კონკრეტული დარგის და არა ფაკულტეტის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება გეოგრაფიის ორად დაყოფილი მიმართულების თუნდაც ერთ სადისერტაციო საბჭოში გაერთიანებაც".

თეა ლოგჟანიძე,
მეტალორგანული და გამოყენებითი ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე, დოქტორი:

„ჩვენი მთავარი პრობლემა სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა, რომელიც აუცილებლად გაუმჯობესებას საჭიროებს. მაგალითად, არ შეიძლება ლაბორატორიაში მხოლოდ ერთი ანალიზური სასწორი იყოს, რომელსაც სასწავლო პროცესში და სამეცნიერო მუშაობისთვისაც იყენებდე. აუცილებელია ლაბორატორიების გადახალისება და, შეძლებისდაგვარად, ახალი თანამედროვე ხელსაწყოების შემოტანა. მითუმეტეს, რომ ყოველ წელს საერთაშორისო ჟურნალებში თანამედროვე ხელსაწყოდანადგარებზე კეთდება აქცენტი. ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემები კი, რომლებიც მიღებულია და დამუშავებულია არსებულ ხელსაწყოებზე, მათთვის მიუღებელია. დიდ პრობლემას ვაწყდებით ექსპერიმენტების ჩატარების დროსაც, რადგან მოუწესრიგებელია ვენტილაცია. ექსპერიმენტის პროცესი კი საკმაოდ რთულია და, თუ წყალი ან ელექტროენერგია გაითიშა და სავენტილაციო სისტემა მწყობრიდან გამოვიდა, ექსპერიმენტი ჩაიშლება. მის ჩასატარებლად კი საკმაოდ ძვირად ღირებული რეაქტივები იხარჯება.

ასევე მიუღებელია, რომ სტუდენტი სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიაში მხოლოდ ერთი ან ორი საათით არის დაკავებული. ამ პერიოდში შეუძლებელია სტუდენტმა სრულყოფილად აითვისოს ლექციაზე წაკითხული მასალა. მინიმუმ ოთხი საათით მაინც უნდა იყოს დატვირთული, რადგან მან შეძლოს დადგმულ ექსპერიმენტს ბოლომდე უყუროს.

ასევე, მინდა აღვნიშნო ლაბორატორიის თანამშრომლების დაბალი ანაზღაურების საკითხიც. ჩვენს ფაკულტეტზე ე.წ. დამხმარე პერსონალიც მაღალი კვალიფიკაციისაა და აკადემიური ხარისხიც აქვთ. წლების მანძილზე მათ შეინარჩუნეს სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები, თუმცა საკმაოდ მიზერულ ანაზღაურებას იღებდნენ. ვთვლი, რომ ლაბორატორიები ის ძირითადი ბირთვია, სადაც სტუდენტები თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს იღრმავებენ, ამიტომ ვფიქრობ, აუცილებელია ლაბორატორიებში დასაქმებული ადამიანები შრომის შესაბამის ანაზღაურებას იღებდნენ".

მოამზადა **ნატო ობოლაძემ**

მრჩეველთა საბჭოს ხელწერა

ფაკულტეტთა სამეცნიერო საბჭოების სხდომებში ჩვენი მონაწილეობაა საჭირო

შოთა ცხოვრებაშვილი,
რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, პროფესორი:

— „ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეთა განსაზღვრის" შესახებ შედგენილი დებულების ირგვლივ, რომელიც რექტორის მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე განვიხილეთ, ორი შენიშვნა მაქვს: პირველი — თუ გავითვალისწინებთ ფაკულტეტების ამჟამინდელ სტრუქტურულ ერთეულთა სიმრავლეს, სადაც, მაგალითად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ექვსი ძირეულად განსხვავებული მიმართულებაა წარმოდგენილი (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია და გეოლოგია), კონფერენციაზე მხოლოდ ერთი მოხსენების წარდგენა, რასაც დებულება ითვალისწინებს, არ იქნება საკმარისი. სასურველია მოხსენებათა რაოდენობის რამდენადმე გაზრდა. მეორე — კარგი იქნება, თუ ფაკულტეტთა სამეცნიერო საბჭოების სხდომების ჩატარება ეცნობება რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრებს, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო საბჭოების მუშაობაში. ამით თავიდან ავიცილებთ ისეთ სათაკილო ფაქტებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ, თუნდაც, 2003 წელს გამართულ სტუდენტთა 69-ე სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა თეზისებში (გეომორფოლოგიის მიმართულებიდან). აქ სამწუხარო ისაა, რომ თითქმის ყველა მათგანი ხელმძღვანელთა საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების და უცოდინრობის შედეგია. ამის ნათელსაყოფად გია დვალაშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული ერთი მოხსენების თეზისებიც კმარა: 1) ცნობილია, რომ სიტყვა „ბრაკონიერი" ფრანგულია, რაც კანონის დარღვევით ცოცხალი ორგანიზმების უმოწყალო განადგურებას გულისხმობს, ამიტომ თეზისებში აღნიშნული რიყის ქვების მონიტორინგზე საუბარი უცოდინრობის მანიშნებელია; 2) არ გაგიკვირდეთ და აქვე შეიტყობთ, რომ წყალს, კერძოდ კი მდინარეს, თურმე, ფერდობები გააჩნია: „მდინარის ფერდობები" — ვკითხულობთ მასში; 3) საახალწლოდ დაკლული ღორის ხორცის დამარილება გამიგონია, მაგრამ ასეთი რამ ხმელეთის ზედაპირზე არსებული ვაკეებისა და მთებისაც რომ ყოფილა შესაძლებელი, თეზისიდან შეიძლება გავიგოთ. აქ ნაცვლად „დამარილებისა" „დამლაშება" უნდა ყოფილიყო; 4) წყლით ტანსაცმლის, ჭურჭლის და სხვ. გარეცხვა მსმენია, მაგრამ თავად თუ წყლის გარეცხვა შეიძლებოდა, არ გამიგონია. თეზისში „შავი ზღვის გარეცხვის" პრობლემაზეა ლაპარაკი; 5) თეზისში ვკითხულობთ, რომ სამეგრელოს დასავლეთი საზღვარი შავი ზღვა კი არა, მდინარე ენგური ყოფილა. ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ გეოგრაფ კაცს ჰორიზონტის ოთხი მხარის ცოდნა მაინც არ უნდა შეეშალოს.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ერთ მართლაცდა სამარცხვინო ფაქტზე რომ არ შევაჩერო ყურადღება, არ შემიძლია. ეს ფაქტი სრული პროფესორის, ჟიურის თავმჯდომარის რ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებულ მოხსენებათა ერთ თეზისშია, რომლის სათაურია: „აღმოსავლეთ კავკასიონის მწვერვალები და გადასასვლელები". აქ საოცარი ის არის, რომ თეზისებში არსად არ არის ნახსენები არც ერთი მწვერვალი და არც ერთი გადასასვლელი, რომელთა შესახებაც მოხსენებაში ექნებოდა ლაპარაკი.

ვფიქრობ, ზემოთ ნათქვამი საკმარისია ჩვენი სურვილის ნათელსაყოფად, რომ ფაკულტეტთა სამეცნიერო საბჭოების სხდომებში რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრების მონაწილეობა მართლაც რომ საჭიროა.

ᲤᲘᲖᲘᲙᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲓᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲐᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲔᲠᲐᲨᲘ

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

რამდენიმე დღის წინ მიმდინარე წლის ნობელის პრემია ფიზიკის დარგში მიენიჭა ბრიტანელ ფიზიკოსს პიტერ ჰიგსს და და ბელგიელ ფრანსუა ენგლერს ელემენტარული ნაწილაკების მასების წარმომავლობის კონცეფციის უზრუნველმყოფი მექანიზმის თეორიული აღმოჩენისთვის.

CERN-სა (ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი) და მსოფლიოს სხვა წამყვან კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში მოღვაწე ფიზიკოსები 14 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში VIII საერთაშორისო კონფერენციაზე — „ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში“ — შეიკრიბნენ.

კონფერენციაში საქართველოსა და საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერები, მათი უცხოელი კოლეგები, CERN-ის (ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი) და დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

საერთაშორისო კონფერენცია ტრადიციულია და თსუ-ში 2001 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. თავდაპირველად მისი სახელწოდება იყო „ფიზიკა მომავალ კოლაიდერებზე“. მას შემდეგ, რაც 2009 წელს დიდი ადრონული კოლაიდერი გაიშვა, კონფერენციას სახელი შეეცვალა და დაერქვა „ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში“. კონფერენციაზე განიხილება მაღალი ენერგიების ფიზიკა (ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა) და მისი თანმდევი საკითხები, რომელიც დიდ ადრონულ კოლაიდერზე სრულდება.

წლევანდელი კონფერენცია დაემთხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიცაა ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის მინიჭება. წელს ეს პრემია ორმა მეცნიერმა ბრიტანელმა ფიზიკოსმა პიტერ ჰიგსმა და და ბელგიელმა ფრანსუა ენგლერმა ელემენტარული ნაწილაკების მასების წარმომავლობის კონცეფციის უზრუნველმყოფი მექანიზმის თეორიული აღმოჩენისთვის მიიღო. მათ მიერ გასული საუკუნის 60-იან წლებში თეორიულად გამოთქმული ჰიპოთეზა 2012 წელს სწორედ შვეიცარიის დიდ ადრონულ კოლაიდერზე აღმოაჩინეს. ბუნებრივია, თბილისის საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენებები ამ მოვლენის შესახებაც წარმოადგინეს.

ექსპერიმენტ ATLAS-ის ქართული ჯგუფის ხელმძღვანელის ჯემალ ხუბუას თქმით, კონფერენცია სერიოზულ დაინტერესებას იწვევს უცხოელ მეცნიერებს შორის, რისი დასტურიცაა ის სამუშაო გარემო, რაც კონფერენციის მიმდინარეობის დროს შეინიშნებოდა: „ეს კონფერენცია დიდი ხანია ტარდება და მასში მონაწილე ქვეყნების რაოდენობა წლების განმავლობაში იზრდება. წელს ჩამოსული იყვნენ მეცნიერები ჩეხეთიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, შვეიცარიიდან, რუსეთიდან, შვედეთიდან. ზოგჯერ ასეთ კონფერენციებზე მეცნიერები დასასვენებლად მიდიან... ეს კი იყო კონფერენცია, რომელზეც დილიდან საღამომდე ათობით მკვლევარი თავაუღებლად მუშაობდა. ნიშანდობლივია, რომ კონფერენციას სტუდენტთა საკმარისად ფართო აუდიტორია ესწრებოდა. მინდა, განსაკუთრებით გამოვკვეთო უნივერსიტეტის დიდი დახმარება და, ასევე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ძალისხმევა — ჩვენ მათ სერიოზულ მხარდაჭერას ვგრძნობთ“, — აღნიშნა მან.

კონფერენციის მონაწილეთა შორის დუბნის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის თანამშრომელთა ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი. მათ მაღალი შეფასება მისცეს სამეცნიერო კონფერენციას და განაცხადეს, რომ აქ არაერთი სიახლე მოისმინეს, რაც მათ სამეცნიერო მუშაობაში წაადგებათ.

„მიმაჩნია, რომ ძალიან საინტერესო მოხსენებები იყო წარმოდგენილი. ბევრი ქართველი მეცნიერის კვლევების შესახებ მივიღეთ ინფორმაცია. მოვისმინეთ CERN-ში უკვე ჩატარებული და დღეს მიმდინარე ექსპერიმენტების შესახებ. თბილისის და დუბნის მეცნიერთა ჯგუფები ATLAS-დანადგარის განახლებაზე მუშაობდნენ და ამის შესახებაც ძალიან ბევრი ინფორმაცია მივიღეთ“, — განაცხადა დუბნის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ალექსეი გლადიშევმა.

უცხოელ მეცნიერებთან ერთად, საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს ქართველმა მეცნიერებმაც. „თითქმის ყველა მოხსენებას დავესწარი და უნდა ვთქვა, რომ კონფერენციამ საინტერესოდ ჩაიარა. მიმდინარეობდა მსჯელობა, კამათი, იდეების ურთიერთგაცვლა. არცერთი მოხსენება არ ყოფილა, რომ დისკუსია არ გამოეწვიოს. მნიშვნელოვანია, რომ აქ ქართველი მეცნიერებიც მონაწილეობდნენ და ძალიან საინტერესო მოხსენებებიც წარმოადგინეს. მათ შორის იყვნენ თამარ ჯობავა, თემურ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი, ჯონი ჩქარეული, ალექსანდრე კვინიხიძე და სხვები“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა გელა დევიძემ.

ბლიც ინტერვიუ LHC ფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილესთან
ᲚᲘᲕᲘᲝ ᲛᲐᲠᲔᲚᲗᲐᲜ

— ორიოდე სიტყვა ჰიგსის ნაწილაკის შესახებ... თქვენს მოხსენებაში კარგი კითხვა იყო დასმული: არის კი ის, რაც ვიპოვეთ LHC-ზე, მართლაც ჰიგსის ნაწილაკი? რას გვეტყვით ამის შესახებ?

— დიახ, კითხვები მართლაც რჩება. ჩვენ ვიცოდით, რომ ჰიგსის ნაწილაკი აუცილებლად ბოზონი (მთელ სპინიანი) ნაწილაკი უნდა ყოფილიყო 0 ან 2 სპინით და, ამის შემდეგ, რაც ჩვენ ცდებზე სტატისტიკა დაგვიგროვდა, უკვე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ „ღვთიური“ ნაწილაკის სპინი 0-ია, ანუ იგი სკალარული ნაწილაკია, მაგრამ არ ვიცით, ეს ერთადერთი ნაწილაკია თუ კიდევ სხვა ნაწილაკიც შეიძლება არსებობდეს. ამიტომ საჭიროა ახალი ექსპერიმენტების ჩატარება მეტი სტატისტიკის მისაღებად. და შესაძლოა აღმოჩნდეს უფრო მძიმე მასის სხვა ჰიგსის ნაწილაკებიც, რასაც თეორია – სტანდარტული მოდელი არ ეწინააღმდეგება.

— რას გვეტყვით LHC-ზე მიმდინარე ექსპერიმენტებში მოსალოდნელი მომავალი აღმოჩენების შესახებ?

— ბევრ აღმოჩენას ველოდებით. უპირველესად მინდა აღვნიშნო სუპერსიმეტრიული თეორიებით ნაწინასწარმეტყველები ჩვეულებრივი ნაწილაკების ე.წ. სუპერსიმეტრიული პარტნიორი ნაწილაკების აღმოჩენის მოლოდინების შესახებ. ასევე, მოსალოდნელია ე.წ. ლაბორატორიული „შავი ხვრელების“ აღმოჩენაც... ახალი ექსპერიმენტების ჩატარება უნდა გაგრძელდეს კიდევ უფრო მაღალ ენერგიებზე, რისთვისაც აუცილებელი იქნება ამჟამად არსებულ LHC–ს ისედაც უნიკალური დანადგარის კიდევ უფრო მოდერნიზება კაცობრიობისთვის ცნობილი უახლესი ტექნოლოგიებით, თუმცა LHC-ს ახლაც შეიძლება ვუწოდოთ აღმოჩენების მანქანა (Discovery Mashine)

ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲰᲘᲒᲡᲘᲡ ᲑᲝᲖᲝᲜᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ის უცხოელი და ქართველი მეცნიერები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სწორედ იმ დანადგარის შექმნაში, რომელზეც ჰიგსის ბოზონის არსებობა დადასტურდა. თსუ-ის პროფესორის, ჩღ-ში ქართული ჯგუფის ხელმძღვანელის ჯემალ ხუბუას თქმით, „ფიზიკაში ამჟამად ძალიან აქტიური წელიწადია. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ რამდენიმე დღის წინ მიმდინარე წლის ნობელის პრემია ფიზიკის დარგში მიენიჭა ბრიტანელ ფიზიკოსს პიტერ ჰიგსს და და ბელგიელ ფრანსუა ენგლერს ელემენტარული ნაწილაკების მასების წარმომავლობის კონცეფციის უზრუნველმყოფი მექანიზმის თეორიული აღმოჩენისთვის.

ეს შრომები, რომელიც ახლა შეაფასეს, გამოქვეყნებულია 1965 წელს, მაგრამ დასტური თავის ჰიპოთეზაზე მიიღო სწორედ CERN-ში მიმდინარე ექსპერიმენტების დროს, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ნობელის პრემია მიენიჭებინათ პიტერ ჰიგსისა და ფრანსუა ენგლერისთვის. ეს მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ველოდით ამ შედეგს. შესაბამისად, ის ხალხი, ვინც ამ დანადგარს — ATLAS-ს აკეთებდა, ყურადღების ცენტრში მოხვდა. პირადად მეც მივიღე მადლობის წერილი CERN-ის საორგანიზაციო კომიტეტიდან იმ მონაწილეობისთვის, რაც ამ დანადგარის შექმნაში გავიღეთ.

რაც შეეხება ამ მოვლენის შეფასებას — ჰიგსის ბოზონს ეძებდნენ ერთერთი მოდელის სტანდარტული უჯრედის შესავსებად. იპოვეს ეს ჰიგსი და დადგა საკითხი — ეს ის ჰიგსია, რომელსაც ვეძებდით თუ არა. ამისთვის საჭიროა იყო ამ ნაწილაკის – სპინის შემოწმება და თუ მისი მნიშვნელობა იქნებოდა – 0, მაშინ ეს ის ჰიგსია, რასაც ვეძებდით, ხოლო თუ 2 — მაშინ ამას სხვა ახსნა ექნება. საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ, რაც კი წარმოქმნილია – პლანეტები, გალაქტიკები და ა.შ. მხოლოდ 4 %-ია დიდი აფეთქების შედეგად მიღებული ენერგიისა. ანუ ეს 4 % ემორჩილება სტანდარტულ მოდელს და ის ამით ყველაფერს ხსნის. დანარჩენი არის კიდევ სხვა ენერგიები: მაგალითად, „ბნელი მატერია“ (მე უფრო მომწონს უხილავი მატერია)... ამაზე მიუთითებს ბევრი ექსპერიმენტალური ფაქტი... ამდენად, თუ ეს სპინი აღმოჩნდებოდა 2, მაშინ იგი შეიძლებოდა ყოფილიყო მოციქული ამ „ბნელ მატერიასა“ და ჩვენს რეალურ სამყაროს შორის. ამისთვის არის სპეციალური თეორიები შექმნილი, რომელსაც სუპერსიმეტრიული თეორია ეწოდება, ხოლო ამ ნაწილაკებს — სუპერსიმატრიული ნაწილაკები.

ჩვენი კონფერენცია პირდაპირ დაემთხვა ამ მოვლენას — ნობელის პრემიის მინიჭებას და ამაზეც იყო საუბარი, რომ წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი“, — აღნიშნა მან.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ქართველ მეცნიერთა ჩართულობა თანამედროვეობის ამ უდიდეს ექსპერიმენტში სათავეს 1992-1994 წლიდან იღებს. დღეს ისინი უკვე იმკიან იმ ძალისხმევის შედეგებს, რასაც უძნელეს პერიოდში ჩაუყარეს საფუძველი. ერთერთი პირველი, ვინც ამ კოლაბორაციის წევრი გახდა და დღემდე აგრძელებს მუშაობას, არის თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-მკვლევარი, ATLAS კოლაბორაციისა და CERN-ის ასოცირებული წევრი თამარ ჯობავა, რომელმაც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ იმ დიდ აღმოჩენაში, რომელიც შარშან 4 ივლისს დაფიქსირდა და წელს ნობელის პრემიით აღინიშნა, ATLAS-მა და CMS – ექსპერიმენტებმა უზარმაზარი წვლილი შეიტანა. მათ ერთდროულად აღმოაჩინეს ეს ნაწილაკი (ერთის აღმოჩენა არ ჩაითვლებოდა აღმოჩენად, თუ ამას მეორეც არ დაადასტურებდა). ქართველ ფიზიკოსებს, მათ შორის, თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტისა და ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს, ასევე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებს, რომლებიც მოგვიანებით შეუერთდნენ ამ ექსპერიმენტს, გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი ამ აღმოჩენაში.

რატომ არის ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანი? უშუალოდ ამ დანადგარების შექმნის პერიოდში მოხდა ძალიან ბევრი ტექნოლოგიის განვითარება. ამ ექსპერიმენტმა აიძულა სხვადასხვა სამრეწველო ფირმა, რომ შეექმნათ ახალი ტექნოლოგიები, მასალები და ნივთიერებები. შეიქმნა უსწრაფესი ელექტრონიკა, რადგანაც მას უნდა გადაემუშავებინა ინფორმაციის არნახული მოცულობა განვითარდა მასალათმცოდნეობა, გამოთვლითი ტექნოლოგიები და, რაც მთავარია, შეიქმნა ინტერნეტის მეორე საფეხურის (სხვათა შორის მსოფლიო ობობას ქსელი WWW სწორედ ამ სამეცნიერო კვლევით ბაზაზეა შექმნილი) — GRID-ის ინფრასტრუქტურა, რომელიც არის ინტერნეტის მეორე საფეხური. ეს არის უზარმაზარი ნახტომი და პრაქტიკული შედეგი იმისა, რასაც თეორიული მეცნიერება ავითარებს, რადგან სწორედ ფუნდამენტური მეცნიერება იწვევს გამოყენებითი მეცნიერების განვითარებას და ამ შედეგების ყოფა-ცხოვრებაში დანერგვას“, — აღნიშნა ქალბატონმა თამარ ჯობავამ.

2015 წელს თბილისის VIII საერთაშორისო კონფერენცია „ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში“ კვლავ გაიმართება.

მეცნიერები ადრონულ კოლაიდერზე ახალ აღმოჩენებს ელიან...

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის თეორიული ასპექტები

შურთხია გეროშვილი

ორგანიზებულ დანაშაულს, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე მტკივნეულ პრობლემად რჩება, სამართალდამცავებთან ერთად ბრძოლა მეცნიერებმაც გამოუცხადეს. იურისტები მოკლედ და ლაკონურად განმარტავენ ამ მცნების მნიშვნელობას: „ორგანიზებულ დანაშაულში“ მოიაზრება დაგეგმილი, წინასწარ მოფიქრებული და მომზადებული დევიანტური ქცევა — პირთა ჯგუფის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი საქმიანობა.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა და შიდა კონფლიქტები, ასევე, სხვა ფაქტორები „მიმზიდველ“ ფაქტორად მიიჩნევა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისთვის. ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა საქართველოს ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა. ამის დასტურია საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 2 ოქტომბერს მიღებული დადგენილება — „საქართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შესახებ“.

სამეცნიერო წრეებში მიაჩნიათ, რომ ორგანიზებული დანაშაულის ფენომენი, მისი სირთულიდან გამომდინარე, მუდმივი შესწავლის საგანია. ამიტომ, ბუნებრივია, ახალი ფუნდამენტური ნაშრომი — „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, რომელიც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ინიციატივითა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა, უკვე იქცა ამ პრობლემაზე მომუშავე სახელმწიფო უწყებების მსჯელობის საგნად.

წიგნის განხილვას, რომელიც 24 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წარმომადგენლები, თსუ-ის სტუდენტები და პროფესორები დაესწრნენ, რომლებმაც ნაშრომის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა გურამ ნაჭყებიამ მონოგრაფიის შექმნის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება: „ნაშრომი, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის ცნების, კრიმინალიზაციისა და დანაშაულის მიმართ კანონშეფარდებითი პრაქტიკის ანალიზის პრობლემებს ეხება, მიზნად ისახავს დაეხმაროს ქართულ სახელმწიფოს ამ ტიპის დანაშაულისა და მისი გამოვლენის კონკრეტული ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში. საქართველოში ხსენებული პრობლემის კვლევამ აჩვენა, რომ ქართულმა სახელმწიფომ ორგანიზებული დანაშაულობის ბრძოლაში მტკიცე ნება გამოავლინა. ნაშრომში გამოკვეთილია ორგანიზებული დანაშაულის ცნებისა და კონკრეტული ფორმების თანაფარდობის მეთოდოლოგიური ასპექტები, შესწავლილია ამ მიმართებით საერთაშორისო სისხლის სამართლის გამოცდილება, გამოვლენილია ტრეფიკინგის, ფულის გათეთრების, ქურდული სამყაროსა და ე.წ. კანონიერი ქურდობის თავისებურებანი, დასმული და გადაჭრილია იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა. ნაშრომში გამოთქმული მეთოდოლოგიური, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მოსაზრებანი და რეკომენდაციები, აგრეთვე შენიშვნები (მოქმედი კანონმდებლობისა და ამ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით) ხელს შეუწყობს საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი ორგანიზებული დანაშაულისა და მისი გამოვლენის კონკრეტული ფორმების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას“, — ასეთია გურამ ნაჭყებიას მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ პრობლემების უმრავლესობა, რომელიც წიგნშია დასმული, შემდგომ გაღრმავებას მოითხოვს.

პროექტის მენეჯერი, სამართლის დოქტორი გიორგი გორაშვილი კი წიგნის შესავალ ნაწილში ორგანიზებული დანაშაულის მეცნიერული ანალიზის საჭიროებაზე ამახვილებს ყურადღებას: „აქტიური საკანონმდებლო მუშაობის შედეგად შემუშავებულმა ორგანიზებული დანაშაულის ახალმა კრიმინალიზებულმა ფორმებმა, რასაც ადრე არც მეცნიერება და არც სასამართლო პრაქტიკა არ იცნობდა, მრავალი კითხვა დაბადა. ერთბაშად დადგა სამართლებრივი ინსტიტუტების, დეფინიცირებისა თუ დანაშაულთა შემადგენლობების ღრმა, მეცნიერული ანალიზის აუცილებლობა. ცალკეული სამეცნიერო სტატიების და სისხლის სამართლის სახელმძღვანელოების ფარგლებში განხორციელებული ვიწრო კვლევების გარდა, ქართულ სამართლებრივ სივრცეში აღნიშნული საკითხები ფუნდამენტურ დონეზე არ დამუშავებულა, შესაბამისად, აღნიშნულ სფეროში, რომელიც უმნიშვნელოვანესია საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, მნიშვნელობანი ინფორმაციული ვაკუუმია“.

გიორგი გორაშვილის ინფორმაციით, ნაშრომში ის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებია გაანალიზებული, რაც თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულისთვისაა დამახასიათებელი.

წიგნი შვიდი ძირითადი კარისგან შედგება, ავტორები: თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორები: გურამ ნაჭყებია, გიორგი გორაშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა, რევაზ გოგშელიძე, დავით სალუქვაძე და ირაკლი დვალიძე თავიანთ კვლევებში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სხვადასხვა ასპექტებს განიხილავენ, მათ შორის: „ორგანიზებული დანაშაულისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები“, „ტრეფიკინგის სისხლის სამართლებრივი, კრიმინოლოგიური და სასამართლო პრაქტიკული ანალიზი“, „ქართული ანტიქურდული ნორმების და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა“, „ქართული ანტირეკეტული ნორმები“, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია“, „ქონების ჩამორთმევა, როგორც ეფექტური მექანიზმი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“ და „იურიდიულ პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც ეფექტური მექანიზმი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მზია ლეკვეიშვილის თქმით, ნაშრომი დაეხმარება ორგანიზებული დანაშაულის ბრძოლის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის კოორდინაციასა და მათ მიერ შესაბამისი წინადადებებისა და დასკვნების შემუშავებას. „მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ წიგნის განხილვა დროში დაემთხვა საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 2 ოქტომბერს მიღებულ დადგენილებას — „საქართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შესახებ“. ნაშრომში გამოთქმული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მოსაზრებანი და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას“, — აღნიშნა მზია ლეკვეიშვილმა.

თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ გამოცემული ახალი მონოგრაფია შეაფასეს პრეზენტაციაზე მოწვეულმა სტუმრებმაც. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა აღნიშნა, რომ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ეს ინიციატივა მისასალმებელია იმ თვალსაზრისითაც, რომ მონოგრაფიაში განხილული საკითხები სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი და აქტუალურია. „როდესაც თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს ერწყმის, უკეთესი და გონივრული გადაწყვეტილების მიღების მეტი შანსი ჩნდება. ჩვენი პოზიციაა, რომ აქტიურად ჩავერთოთ ამ მუშაობაში. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ თსუ-ის პროფესორების უმეტესობა, ვინც ამ ნაშრომის შექმნაში მიიღო მონაწილეობა, მოქმედი მოსამართლეა და სასიამოვნოა, რომ ისინი ასე აქტიურად არიან ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაშიც“, — აღნიშნა კონსტანტინე კუბლაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ლევან იზორიას აზრით, დღეს მეცნიერებთან ერთობლივი თანამშრომლობის აუცილებლობა დღის წესრიგში უფრო მეტი სერიოზულობით დგება. „მინისტრმა წლის ანგარიში უკვე წარუდგინა საზოგადოებას და იქ ერთერთ სხვა მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად გახლდათ ახალი „პოლიციის შესახებ კანონი“. ზოგადად, დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით, ამ კანონს დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს შეიძლება გახდეს დასაბამი იმისა, რომ ახალ მიმართულებას — საპოლიციო სამართალს ჩავუყაროთ საფუძველი. რაც შეეხება ორგანიზებულ დანაშაულს, ჩვენი უწყება იყო სწორედ ინიციატორი იმ ეროვნული სტრატეგიისა, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას ეხება. ამ სტრატეგიის საფუძველზე მთავრობის მიერ შეიქმნა უწყებათშორისი კომისია, რომელსაც ჩვენი უწყება ხელმძღვანელობს. კარგი იქნება, თუ ურთერთთანამშრომლობა ამ მიმართულებებითაც გაგრძელდება და გაღრმავდება“, — აღნიშნა ლევან იზორიამ.

ნაშრომი შეაფასა და თსუ-ის ხელმძღვანელობის სახელით მხარდაჭერა გამოხატა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

„მისასალმებელია, რომ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სივრცეში ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა დღის წესრიგში აქტუალურად დგას და ამის დასტურია ეს ფუნდამენტური ნაშრომი. იმედი გვაქვს, რომ ნაშრომში აღწერილი სამეცნიერო სიახლეები გამოადგება ამ პრობლემაზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს. აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ ჩვენი უნივერსიტეტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი ტიპის კვლევებს, რომლის შედეგებსაც სახელმწიფო სტრუქტურებში გამოიყენებენ. მინდა, მადლობა გადავუხადო წიგნის ავტორებს და გამოვთქვა მზაობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის სახელით, რომ მომავალშიც მსგავსი ტიპის კვლევებს მხარს დავუჭერთ, რათა თსუ-სა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობა უფრო მეტად წარმატებული იყოს. სახელმწიფოს უნდა სჭირდებოდეს უნივერსიტეტი, ხოლო უნივერსიტეტი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მისი ხმა ესმის სახელმწიფოს“, — განაცხადა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ წიგნის პრეზენტაციაზე.

სტუმრად „ავერსის“ კომპანიაში

„ავერსი“ არა მარტო საქართველოში და ამიერკავკასიაში, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ერთერთი ყველაზე მსხვილი ფარმაცევტული კომპანიაა. მის სახელს უკავშირდება საქართველოში ფარმაცევტული წარმოების განვითარებაც — „ავერსის“ დამფუძნებლის ინიციატივით ათიოდე წლის წინ მსოფლიო დონის საწარმოს „ავერსი-რაციონალის“ მშენებლობა დაიწყო და დღეს ამ საწარმოს პროდუქცია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ აზერბაიჯანში, სომხეთსა და უკრაინაშიც მსოფლიო ფარმაცევტული ბრენდების ნაწარმს უწევს კონკურენციას. ავერსმა საზოგადოებაში ქველმოქმედის სახელიც დაიმკვიდრა.

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები სტუმრად ვიმყოფებოდით „ავერსის“ კომპანიაში. რაოდენ საამაყოა, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები: ნინო დვალი, ხათუნა ლორია, მაცაცო შედანია, რუსუდან რუხაია, ბეჟან ილაშვილი და სხვები წარმატებით მოღვაწეობენ აღნიშნულ კომპანიაში. ისინი კარგად ართმევენ თავს ამ სფეროში რთული და უამრავი ინფორმაციის მიღებას. კარგად აქვთ ჩამოყალიბებული უნივერსიტეტში მიღებული კრიტიკული ანალიზის და დასაბუთებული დასკვნების გამოტანის, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარი, ტრადიციული და უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. საწარმოში მეგზურობა გაგვიწია ჩვენმა კურსდამთავრებულმა წარმოების უფროსმა ბეჟან ილაშვილმა და მოადგილემ მარიამ ონანაშვილმა. მოვისმინეთ საკმაოდ საინტერესო მოხსენება „ავერსის საქმიანობის, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც გააკეთა ქალბატონმა ნათელა ქარუხნიშვილმა. უნდა აღინიშნოს,რომ „ავერსი“ საერთაშორისო სტანდარტების თანამედროვე ქართული ფარმაცევტული საწარმოა, რომელიც მაღალხარისხოვან და სანდო პროდუქციას უშვებს. ამჟამად „ავერსი-რაციონალი“ 149 დასახელება მედიკამენტის 212 პოზიციას აწარმოებს. საწარმო აღჭურვილია ამერიკული, იაპონური, ინგლისური, გერმანული, იტალიური წარმოების უახლესი დანადგარებით. „ავერსი-რაციონალს“ 2006 წელს „TwV SwD MANAGMENT“-ის ISO სერტიფიკატი მიენიჭა. შესაბამისად, ISO სერტიფიკატის ფლობა გულისხმობს, რომ წარმოების სისტემები საერთაშორისო სტანდარტს ესადაგება, რაც, თავის მხრივ, პროდუქციის ხარისხის სტაბილურობას უზრუნველყოფს. ყოველწლიურად ხდება ISO, GMP და FDA სტანდარტების შესაბამისობაზე საკონტროლო აუდიტი, რომელსაც „ავერსი-რაციონალი“ წარმატებით გადის. ამ სტანდარტების შესაბამისობის სერტიფიკატის ფლობა პროდუქციის სანდოობის გარანტია, რაც „ავერსი-რაციონალის“ ნაწარმის ექსპორტსაც ამარტივებს. საწარმოს პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება ყირგიზეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და უკრაინაში. საწარმოს პროდუქციაზე მოთხოვნა სულ უფრო და უფრო იზრდება და ეს არა მხოლოდ „ავერსის“, არამედ მთელი საქართველოს უდიდესი წარმატებაა. დავათვალიერეთ ლაბორატორიები, რომელიც ქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და კვლევით განყოფილებებს აერთიანებს. ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე ხელსაწყოებითა და დანადგარებით. ახალი ლაბორატორიების შექმნის აუცილებლობა წარმოებისა და ნაწარმის ასორტიმენტის ზრდამ გამოიწვია. სტანდარტები შექმნილია მსოფლიოს პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და პროდუქციის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს, საწარმოს მიერ მიღებული სერტიფიკატები არ არის მხოლოდ ტექნოლოგიებისა და აპარატურის ხარისხის მაჩვენებელი; ისინი, უპირველეს ყოვლისა, დასტურია იმისა, რომ შექმნილი და დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც იძლევა გარანტიას, რომ „ავერსი-რაციონალის“ მიერ წარმოებული მედიკამენტები პაციენტებისთვის ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და ეფექტური იყოს.

აღნიშნული შეხვედრები არა მარტო სამეცნიერო მიღწევების ურთიერთ გაცვლის ხასიათს ატარებს, არამედ ასეთი შეხვედრები აახლოებს ადამიანებს, რაც შემდგომში სამეცნიერო თანამშრომლობის სახეს იღებს.

ამდენად, მეტად სასარგებლოდ უნდა მივიჩნიოთ ასეთი შეხვედრების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო სამეცნიერო მიღწევების ურთიერთგაზიარებას, არამედ ახალი აღმოჩენების წარმოჩინებას და დაბადებას, ასევე, ახალი სამეცნიერო კონტაქტების დამყარებას. კარგი იქნება და ვიმედოვნებთ, რომ ქიმიის მიმართულების სტუდენტები მომავალში საწარმოო პრაქტიკას გაივლიან კომპანია „ავერსში“.

ელიზა მარქარაშვილი,
მაკრომოლეკულების ქიმიის მიმართულების ლაბორატორიის გამგე, ქიმიის დოქტორი

პოზიცია

უნივერსიტეტში დავაბრუნოთ კორპორატიული კულტურა

ZAHABER ჭეიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ის ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრის დირექტორი, საქართველოს პროფესორთა ლიგის თანათავმჯდომარე:

— წარმატებების მისაღწევად აუცილებელია უნივერსიტეტში დავაბრუნოთ ის კორპორატიული კულტურა, რაც გარკვეული პერიოდის მანძილზე ამ კედლებში არსებობდა. დარწმუნებული ვარ, არსებობს გარკვეული სკეპტიციზმი იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო წლების მანძილზე ჩატარებული კონკურსების შედეგად (და თქვენ იცით, როგორი კონკურსებიც ტარდებოდა) არასაუნივერსიტეტო სივრციდან ბევრი ადამიანი შემოვიდა უნივერსიტეტში. ყველაზე ცუდი, რაც მოხდა, ისაა, რომ, ზოგ შემთხვევაში, კოლეგიალობა და ჯანსაღი კონკურენცია მტრობამ და შურმა შეცვალა. თუმცა, არავინ ამბობს, რომ ეს ხალხი ქუჩაში უნდა გავუშვათ. პირიქით, საუნივერსიტეტო კორპორატიული კონცეფციისა და კულტურის მატარებელთა წყალობით, ისინი უნივერსიტეტელებად უნდა ვაქციოთ. საუნივერსიტეტო საზოგადოებამ ყველა გამოწვევას ობიექტური თვითშეფასებითა და მაღალი თვითორგანიზებით უნდა უპასუხოს. საბედნიეროდ, ამის რესურსი, მიუხედავად განვლილი წლების მძიმე პროცესებისა, კიდევ არსებობს. საჭიროა გონივრული, გათვლილი, მწყობრი ნაბიჯების გადადგმა უნივერსიტეტის იდეის განსახორციელებლად სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან! პროფესურისა და სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობით, პროცესები უნდა გახდეს გამჭვირვალე და გასაგები. 100 წლის იუბილეს, რომელიც არც ისე შორსაა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — ქვეყნის პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, უნდა შეხვდეს როგორც ეროვნული იდეისა და იდენტობის, კლასიკური განსწავლულობისა და მეცნიერების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამამკვიდრებელი, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და სამოქალაქო საზოგადოების განმაპირობებელი ბურჯი... შეუქცევადი, თავისუფალი, უზრუნველყოფილი, განსაკუთრებული! ეს ყველაფერი მიღწევადია მეცნიერებით, სიმშვიდით, ერთგულებით, პასუხისმგებლობით, თანამშრომლობითა და ურთიერთგაგებით.

აქტუალური

კიბერსივრცის საფრთხეები და „არა! — სიძულვილის ენას“

კიბერსივრცე თვითგამოხატვის, განვითარებისა და ინფორმაციის გავრცელების ამოუწურავ და შეუზღუდავ შესაძლებლობას გვიქმნის, მაგრამ ასეთ უკიდეგანო თავისუფლებაში დიდი ხიფათია — გახდე ბოროტების მსხვერპლი ან გამავრცელებელი და, შესაბამისად, ხელი შეუწყო ადამიანის წინააღმდეგ მიტანილ ვერბალურ და ვიზუალურ თავდასხმებს. დღეს ნებისმიერი აგრესია, უმცირესობებისა და სტიგმატიზირებული ჯგუფების დასაკნინებლად გამოთქმული მოსაზრებები გლობალური ქსელის საშუალებით დაუბრკოლებლად ვრცელდება და „ავირუსებს“ ათასობით მოზარდისა და ახალგაზრდის ცნობიერებას.

კვლევები ადასტურებენ, რომ სიძულვილის ენა ერთერთი ყველაზე სახიფათო ფაქტორია ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის დარღვევის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ევროსაბჭოს ინიციატივით, 2012 წლიდან დაიწყო ფართომასშტაბიანი კამპანია, რომლის მიზანიცაა სიძულვილის ლინგვისტური და ვიზუალური გამოვლინებების შემცირებაა ონლაინ სივრცეში. ამ კამპანიაში ევროსაბჭოს მთავარი პარტნიორი ახალგაზრდობაა. პროექტის სახელწოდებაა „მოძრაობა — ,,არა! — სიძულვილის ენას” ონლაინ სივრცეში” და მისი მიზანია ონლაინ სივრცის დაცვა აგრესიის, რასიზმს, დისკრიმინაციისა და სიძულვილის გამოვლინებებისგან. პროექტის განხორციელებას კოორდინაციას უწევენ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები. საქართველოში პროექტის განხორციელება ოქტომბრიდან დაიწყო და მას სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო კურირებს. სამინისტროს პარტნიორები ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო კომპანიები და მედიის წარმომადგენლები არიან, რომლებმაც ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობით უნდა უზრუნველყონ სიძულვილის მასშტაბების შეზღუდვა-გამოვლინებები ქართულ ონლაინ სივრცეში.

* * *

სიძულვილიცა და სიყვარულიც რელიგიური და ეთიკური კატეგორიებია და პიროვნების ცნობიერებისა და მსოფლმხედველობის საძირკველს წარმოადგენენ. — რა და რატომ უნდა გვიყვარდეს, ან რა უნდა გვძულდეს? – უძველესი კითხვებია და ამ კითხვებზე გაცემული პასუხები ცივილიზაციათა ბუნებას, ადამიანების ბედსა და კაცობრიობის ისტორიას განაპირობებდნენ.

ქრისტიანულ კულტურებში მოყვასის სიყვარულისა და ცოდვილთათვის მიტევება ყოველთვის წამყვანი თემა იყო, თუმცა რეალობაში ყველაზე მეტად სწორედ ამ ცნების მიტანა ჭირდა ადამიანებამდე. სამწუხაროდ, ისტორია მხოლოდ იმას გვიდასტურებს, რომ ადამიანთა აზრებისა და განწყობების მანიპულირების შესაძლებლობები, რომლის მთავარი ინსტრუმენტიც სიტყვა და ვიზუალური ხატია, ტექნიკურ პროგრესთან ერთად იზრდებოდა. ასეთი მანიპულაციების მიზანი ყოველთვის ერთი იყო – სხვადასხვა იდეოლოგიებისთვის ძალაუფლების სივრცის გაფართოება ჯერ ადამიანთა ტვინებში, შემდეგ უკვე რეალურ სივრცეში. ამგვარი ძალაუფლებების შედეგები XX საუკუნის ევროპას და პოსტსაბჭოთა სივრცეს კარგად ახსოვს: ფაშიზმმა, რასიზმმა, ბოლშევიზმმა და ანტისემიტიზმმა დასავლურ ცივილიზაციას კიდევ ერთი მძიმე გამოცდილება შესძინა – უაღრესად მგრძნობიარე იყოს სიძულვილად ტრანსფორმირებული სიყვარულის გამოვლინებებისა და მისი ტირაჟირების მიმართ.

დღეს, ინფორმაციისა და ინტერნეტის ეპოქაში პლანეტის წინაშე ახალი საფრთხეები და გამოწვევები დგას, რომელთა შესახებაც ანალიტიკოსები დიდი ხანია საუბრობენ. ზუსტი რეცეპტები არ არსებობს, თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ნებისმიერი საფრთხისგან დაცვა ისევ ერთი კონკრეტული ადამიანის პირად პასუხისმგებლობაზე, შინაგან ეთიკასა და განათლებაზე გადის.

რამდენად შეძლებენ ჩვენი ახალგაზრდები იმის გაცნობიერებას, რომ ინტერნეტ-სივრცეც სივრცეა, რომლის დაბინძურებასაც უმძიმეს შედეგებამდე მივყავართ? ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, თუმცა, ის, რომ ამ მიმართულებით ჩვენშიც დაიწყეს მუშაობა, უკვე კარგია.

ლელა ფირალიშვილი

ახალი დროის საფრთხეების შესახებ კულტუროლოგი ლელა ფირალიშვილი გვესაუბრა:

— გლობალური ქსელი — ეს იგივე მედიაა და, უცნაური ის არის, რომ სწორედ მედიაში გაჩნდა სიძულვილისადმი ინტენცია. მედია ევროპაში განმანათლებლობამ მოიტანა და მისი მთავარი ინსტრუმენტი იყო. იმ პერიოდის ბეჭდური მედია, ძირითადად, მასების ინფორმირებას და განათლებას ემსახურებოდა. თუმცა, მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც მედიამ აითვისა ჯერ აუდიო, შემდეგ კი ვიზუალური სივრცე, რადიოსა და ტელევიზიას ვგულისხმობ, მედიამ დრამატული ელემენტების გამოყენება დაიწყო, რაც საშუალებას იძლეოდა ადამიანებამდე მიეტანათ არა მხოლოდ ინფორმაცია, არამედ, ამ დრამატული ეფექტების წყალობით, ადამიანების განწყობები ემართათ. გაიხსენეთ გასული საუკუნის 40-იანი წლების ყველაზე ცნობილი საბჭოთა ხმა – რადიოდიქტორი ლევიტანი და ის ეფექტი, რომელსაც მისი ხმის გაგონება იწვევდა მოსახლეობაში. თუ მანამდე, საგაზეთო კომუნიკაციისას, მხოლოდ ტექსტური სიტყვა გვქონდა, რომელსაც ინტონაციას მკითხველი ანიჭებდა, როგორც კი აუდიალური კომუნიკაცია შემოვიდა, ხმის ინტონაციით, ტემბრით შესაძლებელი გახდა ე.წ. „ხმით დატერორება“, ანუ აუდიტორიის შესრუტვა დრამატული ელემენტებით. უკვე მაშინ გახდა აშკარა, რომ ეფექტის მისაღწევად მედია აქცენტებს სწორედ ფორმაზე გააკეთებდა და არა შინაარსზე.

მას შემდეგ, რაც ტელევიზია გაჩნდა, დრამატული კომუნიკაციის რეჟიმი კიდევ უფრო გამძაფრდა. გასაგებია, რომ ვიზუალი ასეთ შემთხვევაში ეპატაჟური უნდა იყოს, რომ ყურადღება მიიპყროს. ძალიან კარგად მიხვდნენ ვიზუალური კომუნიკაციის სპეციალისტები, რომ სასურველი იყო ისეთი ვიზუალის აკრეფა, რომელიც მთლიანად დაატყვევებდა სტატისტიკური ადამიანის ვნებებს: ეს უნდა ყოფილიყო სექსი, მკვლელობა, მოკლედ ის, რაც აგრესიაა და იპყრობს ადამიანის ყურადღებას. გასაგებია, რომ იქამდე მისვლას, რასაც ხელოვნება გვთავაზობს, რასაც სიღრმე აქვს და ესთეტიზმიც ახლავს, ჭვრეტა, ღვაწლი და მუშაკობა სჭირდება, ამას კი მედიამ ანაცვალა უმცირესი ენერგიის ხარჯვის პრინციპი და თქვა: აი, ნახე, აქ არაფერი გჭირდება გარდა იმისა, რომ ემოცია მიიღო. შედეგად მედია, რომელიც იყო განმანათლებლობის თანმხლები და აუცილებელი ინსტრუმენტი, იქცა სუბიექტად, რომელიც ქმნის რეჟიმს და იმის ნაცვლად, რომ გაატაროს ინფორმაცია, შინაარსი, ატარებს მხოლოდ ემოციაზე გათვლილ სიგნალებს, რაც ყველაზე უკეთ აგრესიის ჩვენებისა და ტრანსლირებისას მიიღწევა.

მედიის ასეთმა როლმა გააჩინა ტერორიზმი, რადგან მის სივრცეში უკვე შესაძლებელია ტრანსლირება და, როგორც კი ტრანსლირება აგრესიული ხდება, ამ ველში უკვე მთელი პლანეტაა „შესრუტული“. დააკვირდით — ტერორიზმი მედიის გარეშე არ არსებობს, მედიას კი არსებობისთვის ჰაერივით სჭირდება აგრესია და ტერორისტული აქტები. გაიხსენეთ ბესლანის ტრაგედია, როდესაც მიჯაჭვულნი ვიყავით პირდაპირ ეთერს, ვუყურებდით, როგორ მოჩქეფდა სისხლი ტელეეკრანებიდან და თითქოს ამბავიც კი მორჩა, როცა ყველაფერი დასრულდა.

ფაქტი ერთია, ჩვენ ასეთი კომუნიკაცია ვეღარ ჩაგვიჭრია, მედიატერორის ამ რეჟიმიდან ვერ გამოვსულვართ და ეს ისეთი რეჟიმია, როდესაც ჩართული არის თვითგანადგურების პროგრამა.

— ხდება თუ არა საინფორმაციო სამყაროდან მომდინარე ამ საფრთხეების გაცნობიერება? ვხედავთ, რომ დასავლეთში ცდილობენ რაღაც თემების შეზღუდვას ტერორიზმის, ღია და პირდაპირი აგრესიის ჩვენების აკრძალვით მედიაში. საქართველო, ჯერჯერობით, ნაკლებად აცნობიერებს ამას. მით უმეტეს, მედიამ ახლა უკვე ინტერნეტ-სივრცის ათვისება დაიწყო და ისიც უნდა ვთქვათ, რომ სოციალური ქსელების წყალობით, დღეს, ნებისმიერი მომხმარებელი თავად გახდა მედია-აქტორი, ანუ ინფორმაციისა და განწყობის გამავრცელებელი?

— ძირითადად, თვალს ქართულ სოციალურ ქსელებს ვადევნებ და ვხვდები ერთ რაღაცას: რაც მეტად აგრესიულია და უხამსია ე.წ. „პოსტი“, მით მეტად იფხანს გულს ადამიანი მისი წაკითხვისას, სწორედ ამიტომ, ძირითადი ნაკადი ასეთი ხასიათისაა.

აგრესიას კიდევ არა უშავს, რადგან ხანდახან აგრესიული შეიძლება იყოს ის, რაც შეიძლება შემოქმედებითიც იყოს, გაცილებით საშიშია სიძულვილი და მისი ენა. აგრესია და სიძულვილი ერთად უკვე ნებისმიერ სამყაროს ანგრევს, რადგან

ერთია — არ მოგწონდეს სამყარო და რეალობა, რომელიც შენს გარშემოა და მის კორექტირებას ცდილობდე და მეორეა — როდესაც გძულს სამყარო და მხოლოდ აგრესიას გამოხატავ მის მიმართ. ეს უკვე დესტრუქციაა და არა დეკონსტრუქცია.

სამწუხაროდ, დესტრუქციასა და დეკონსტრუქციას შორის განსხვავებას საქართველოში ვერ ხედავენ. უკვე მეოთხე ხელისუფლებას ვუყურებთ საქართველოში და ვხედავთ კომუნიკაციის ე.წ. პიარისა და მედიის ძველ და გამოცდილ სპეციალისტებს, რომლებმაც მარტო ნგრევა იციან, მაგრამ იგივენი ვერაფრით აგებენ ახალ საკომუნიკაციო ველს.

— ანუ, შესაძლოა ეს აგრესია მოჯადოებულ წრედ იქცეს ჩვენთან?

— მხოლოდ ჩვენთან არა, რადგან ჩვენთან მაინც მეორადი მოხმარების კულტურაა გამეფებული, რომელიც დასავლეთში, ჩრდილოეთში და გინდაც სამხრეთში შექმნილი მიღწევების მომხმარებელი და მექანიკურად გადმომღებია. ზოგადად, მსოფლიოში ახლა გამეფებულია ე.წ. აგრესიული სივრცე და ეს ტრანსლირებადი აგრესიის რეჟიმი მედიამ შექმნა. ამიტომ, რეჟიმი რომ შეიცვალოს, ამისათვის პარადიგმაც უნდა შეიცვალოს. ჩვენ ვერ ვიზამთ ამას! ეს მოვლენა სადაც გაჩნდა, იქიდან უნდა წამოვიდეს ახალი სიგნალები!

მოამზადა **ლელა კურდღელაშვილმა**

„გონება ამარცხებს კაპიტალს“ — ორიგინალური ნაშრომი „სამეწარმეო გაზაფხულის“ დადგომის შესახებ

გიუნტერ ფალტინი ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორია მეწარმეობის დარგში. მან 1985 წელს წამოიწყო Teekampagne („ჩაის კამპანია“), რომელმაც გადატრიალება მოახდინა გერმანიის ჩაის ბაზარზე მომხმარებელთა განათლების, გამჭვირვალობისა და კონტროლის თვალსაზრისით. დღესდღეობით კომპანია Darjeeling-ი ჩაის უმსხვილესი იმპორტიორია მთელ მსოფლიოში. ფალტინმა ბერლინში დააარსა „მეწარმეობის ლაბორატორია“ და ბიზნეს ანგელოზობა გასწია მრავალი წარმატებული დამწყები მეწარმისათვის. ფალტინის მეწარმეობის ფონდის საშუალებით ლაბორატორია ხელს უწყობს გერმანიაში მეწარმეობის ახალი კულტურის ჩამოყალიბებას. ამერიკის შეერთებულ შტატებში Price-Babson ფონდმა დააჯილდოვა „აკადემიაში სამეწარმეო სიცოცხლისუნარიანობის შემოტანისათვის“. 2009 წელს მან მიიღო გერმანელი დამფუძნებლებისა და, ასევე, ეკონომიკისა და ტექნოლოგიების გერმანიის ფედერალური სამინისტროს ჯილდო იდეისათვის „კომპონენტებით დაფუძნების შესახებ“, ხოლო 2010 წელს დაიმსახურა ფედერალური ჯვარი გერმანიის პრეზიდენტისაგან მეწარმეობის განვითარებაში გაწეული პიონერული შრომისათვის და სამეწარმეო განათლებაში შეტანილი ორიგინალური შემოქმედებითი წვლილისათვის.



გიუნტერ ფალტინი სამეწარმეო განათლების ერთ-ერთი პიონერთაგანია გერმანიაში. იგი ასევე ლეგენდარული Teekampagne-ის დამფუძნებელია, რომელიც გახლდათ საკმაოდ არაკლასიკური მცირე ზომის კომპანია და გადაიქცა Darjeeling-ის ჩაის (ჩაი, რომელიც ჰიმალაის ციცაბო სამხრეთ ფერდობებზე იზრდება და იმ რეგიონის სახელს ატარებს, საიდაც მისი მოყვანა ხდება – დარჯილინგი) მსოფლიოს უმსხვილეს იმპორტიორად. მისი 2008 წელს გამოცემული წიგნი „Kopf schlägt Kapital“ („გონება ამარცხებს კაპიტალს“ — Günter Faltin, Kopf schlägt Kapital, München, 2008) არის ყველაზე წარმატებული წიგნი მეწარმეობის შესახებ, რომელიც ოდესმე გაყიდულა გერმანიაში. იგი წარმატებების სურვილს აღგიძრავთ, მან შთააგონა ხალხი და შეცვალა მათი ცხოვრება, მისი გავლენა კვლავაც იზრდება.

„გონება ამარცხებს კაპიტალს“ – მანიფესტია ხალხის სამეწარმეო საქმიანობისათვის, რომელიც ორიენტაციას გვაძლევს — თუ როგორ უნდა დავიწყოთ იგი. ეს გახლავთ „კაპიტალიზმის რადიკალური იდეალისტის“ ერთი ისტორია, რომელიც გვიჩვენებს — თუ როგორ ვიშოვოთ ფული, მაგრამ ასევე გვეუბნება — თუ როგორ ვისიამოვნოთ და უკეთეს სამყაროდ გადავაქციოთ მსოფლიო.

საკუთარი კომპანიის მართვისას ნასწავლ გაკვეთილებზე დაყრდნობით და ასევე, სხვების დაფუძნებაში გაწეული დახმარებით მიღებული გამოცდილებით ფალტინი გვიჩვენებს — თუ რატომაა კარგად მოფიქრებული იდეა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პატენტი, ახალი ტექნოლოგია ან დიდი ოდენობის საწყისი კაპიტალი. როდესაც თქვენ ჯიუტად მუშაობთ მიზნის მისაღწევად, რაც შეიძლება ნაკლები რესურსების გამოყენებით, ბევრი იდეა თანდათანობით შემცირდება მათ სამეწარმეო კონცეფციის არსამდე. „კონცეპტუალურ-შემოქმედებითი“ აზროვნება ჩვეულებრივ საღ აზრთან ერთად ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბიზნეს ადმინისტრირების საგნების ღრმა ცოდნა. თქვენ არ გჭირდებათ მაგისტრის ხარისხი ან გენიოსის ნიჭი იმისათვის, რომ შექმნათ კომპანია, რომელიც დაამარცხებს ბაზარზე უკვე დამკვიდრებულ კონკურენტებს – გვირჩევს იგი. ამის დასადასტურებლად ფალტინი წარმოგვიდგენს კომპონენტების პრინციპს, შრომის დანაწილების პრინციპს და ა.შ. მისი აზრით განმსაზღვრელია სამეწარმეო პროექტის შემუშავების შვიდი მეთოდი:

- ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔ �პᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲨᲘ;
- ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ;
- ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲘᲠᲔᲑᲐ;
- ᲔᲠᲗᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ;
- ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ;
- ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲥᲪᲔᲕᲐ;
- ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲓ ᲥᲪᲔᲕᲐ.

სამეწარმეო პროექტის შემუშავების პროცესი, მისი აზრით, მუსიკალური ნაწარმოების შექმნას ჰგავს, რომელიც მანამ გრძელდება, სანამ ყველაფერი ჰარმონიულად არ შეერწყმება ერთმანეთს. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მეწარმე, როგორც კომპოზიტორი, რომელიც დაისახავს მიზანს და რომელსაც ესმის თუ როგორ გამოიყენოს თავისი ინსტრუმენტები. აქამდე ჩვენ იშვიათად შევხვედრივართ ასეთ „კომპოზიტორებს“ მეწარმეების სახით. თუმცა ეს დამწყები საწარმოს შექმნის უმარტივესი გზაა – თავიდანვე პროფესიონალური კომპონენტებით. მე იმიტომ ავირჩიე კომპოზიტორის ფიგურა, აღნიშნავს ფალტინი, რომ ხშირად წარმატებული მეწარმეები არ იგონებენ რაიმე ახალს, არამედ უბრალოდ იღებენ უკვე არსებულს და სხვაგვარად აწყობენ მას, ანუ ისინი არსებული კომპონენტების აწყობით ქმნიან რაღაც ახალს. ის გვთავაზობს, რომ გამოვიყენოთ ტერმინი „მეწარმეობა“, რათა ხაზი გავუსვათ ახალი ბიზნესის დაფუძნების შემოქმედებით, ინოვაციურ კომპონენტებს, განსხვავებით „ბიზნესის ადმინისტრირებისაგან“, რომელიც გულისხმობს ბიზნესის ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ასპექტებს. ფალტინის სურვილია, რომ მეწარმეობის სფეროს სხვაგვარად შევხედოთ, არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულად. ეს არის ეკონომიკური თვითრეალიზაციის პირობა, რომელსაც განათლება გვაძლევს: არ მივანდოთ ეკონომიკა მხოლოდ ეკონომისტებს! გადავაქციოთ „მოსაწყენი მეცნიერება“ სასიამოვნო საქმიანობად! წავახალისოთ ხალხი — მიიღონ მასში მონაწილეობა.

გამდიდრება სასიამოვნოა, მაგრამ საბოლოო ჯამში იგი აზრს მოკლებულია, თუ არ აუმჯობესებს რაიმეს. ფალტინის იდეალი არც კომპანიაა, არც კაცი თუ ქალი, არც ადამიანი, რომელიც აგროვებს სიმდიდრეს იმისათვის, რომ მდიდარი იყოს; მისი იდეალია ხელოვანი, შემოქმედი, მეამბოხე, რომელიც უპირისპირდება ტრადიციებს და რომლის მიზანია იცხოვროს მდიდრული და აზრიანი ცხოვრებით.

ასეთი მიდგომა აცოცხლებს კავშირს ბიზნესსა და სიამოვნებას, სამუშაოსა და ცხოვრებას, მოპოვებასა და ხარჯვას შორის. ფალტინი მოგვიწოდებს ჩვენი ცხოვრების მეწარმეები ვიყოთ: მიზანდასახულნი, რაციონალურნი, ვნებითა და პასუხისმგებლობით აღსავსენი. ეს არც ექსტრემალური სპორტია, რომელიც შემოიფარგლება რამდენიმე შეპყრობილი ადამიანით, რომლებიც მზად არიან ისეთი უჩვეულო რისკი გასწიონ, რომელსაც უმეტესობა ჩვენთაგანი მორიდებული შიშით ვუყურებთ. მაშინ როდესაც მეწარმეობის ბევრი მასწავლებელი მხარს უჭერს რისკის გაწევას და ხაზს უსვამს „შესაძლებლობის ამოცნობას“, ფალტინის სურვილია რისკის შემცირება და სწრაფი შესაძლებლობების ცდუნებებისაგან თავის არიდება.

ამდენად, ფალტინის მოცემულობით არ-სებობს სამი საფეხური, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია რადიკალურად შევცვალოთ სამეწარმეო ლანდშაფტი. ფაქტობრივად, ეს მხოლოდ მენტალური საფეხურებია, პრობლემის ახალი კუთხეებიდან დანახვა, რაც შესაძლებელს ხდის ბიზნესის დაწყების საკითხს სრულიად განსხვავებული გადმოსახედიდან მივუდგეთ. პირველი ნაბიჯია ვაღიაროთ, რომ დღეს კარგი კონცეფცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კაპიტალი. მეორე ნაბიჯია მეწარმეობის სფეროში გამოვიყენოთ შრომის დანაწილების პრინციპი ბევრად უფრო რადიკალურად. მესამე ნაბიჯია კომპონენტებისაგან შემდგარი კომპანიის შექმნა. შრომის დანაწილება და სოციალიზაცია გვაძლევს საშუალებას შევქმნათ კომპანია, რომელიც თითქმის ექსკლუზიურად კომპონენტებისგან იქნება ფორმირებული. ახლად დაფუძნებული ასეთი კომპანია პროფესიონალურად ფუნქციონირებს პირველივე დღიდან, მოითხოვს ბევრად უფრო ნაკლებ კაპიტალს, ამცირებს რისკს და ნაკლებად მგრძნობიარეა ტიპური კრიზისის მიმართ, რომელიც მოსალოდნელია კომპანიის ზრდასთან ერთად.

„გონება ამარცხებს კაპიტალს“ გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ყოველივე ზემოთქმულის განხორციელება Teekampagne-ის და სხვა წარმატებული კომპანიების მაგალითზე, რომლებიც „ფალტინის მოდელზე“ შეიქმნა. ეს მოდელი ნამდვილად მოასწავებს „სამეწარმეო გაზაფხულის“ დადგომას და სურვილს აღგიძრავთ მისწვდეთ ვარსკვლავებს.

გიუნტერ ფალტინის წიგნის „გონება ამარცხებს კაპიტალს“ თარგმნის ინიციატივა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრას და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანულ ინსტიტუტს ეკუთვნის. თარგმანის გამოცემა ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდება მიმდინარე წლის დეკემბერში.

რევაზ გველესიანი,
პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი

ეკა ლეკაშვილი,
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

საქართველოს პარლამენტის მოდელირების მე-7 სესია დასრულდა

ᲜᲐᲗᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბმა საქართველოს პარლამენტის მოდელირების მე-7 სესია გამართა, რომელშიც სტუდენტებთან ერთად საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. პროექტის მიზანი ახალგაზრდებისთვის საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის სპეციფიკის გაცნობა, ასევე, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარება გახლდათ. საქართველოს პარლამენტის მოდელირების მე-7 სესიაში მონაწილეობის სურვილი 700-მდე ახალგაზრდამ გამოთქვა, საიდანაც კონკურსის საფუძველზე 100 მათგანი შეირჩა. მონაწილეები სამი დღის მანძილზე საკომიტეტო მუშაობის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები, მესამე დღეს კი პლენარულ სხდომაში მიიღეს მონაწილეობა.

„თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დელეგატი ვიყავი. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ამ პროექტში მივიღე მონაწილეობა. ამისთვის მადლობა ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბს. ვფიქრობ, რომ საკუთარი თავი წარმოვაჩინე, მივეჩვიე ლიდერობასაც, ასევე, გავიცანი ბევრი საინტერესო ახალგაზრდა ადამიანი“, — განაცხადა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა თამარ მაღლაკელიძემ.

„საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბის“ წევრები ფიქრობენ, რომ საქართველოს პარლამენტის მოდელირების პროექტი ახალგაზრდებში დიპლომატიური კულტურის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს და თითოეულ მონაწილეს პროფესიულ განვითარებაშიც დაეხმარება.

„მონაწილეები ეცნობიან იმ პროცედურებს, რომელიც პარლამენტში მიმდინარეობს. პროექტი ეხმარება მათ სხვადასხვა უნარჩვევების გამომუშავებაში. მაგალითად როგორიცაა, საჯარო გამოსვლები, დროში მანიპულირება, ჯგუფური მუშაობა, ინდივიდუალიზმი და ა.შ. მსგავსი ფორმატის პროექტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში საკმაოდ პოპულარულია, ევროპელი ახალგაზრდები ღებულობენ მასში მონაწილეობას და დროთა განმავლობაში იღებენ გამოცდილებას, რომელიც მათ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე გამოადგებათ. საქართველოს პარლამენტის მოდელირების პროექტში მონაწილეობა, რა თქმა უნდა, არ არის გარანტი, რომ რომელიმე მონაწილე აუცილებლად დეპუტატი გახდება, თუმცა ნახევრად ფორმალური, ჯგუფური და ამასთანავე ინდივიდუალური მუშაობა ხვეწს მათ შინაგან უნარებს“, — აღნიშნა თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების III კურსის სტუდენტმა, „საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბის“ გამგეობის წევრმა გიორგი გოგუაძემ.

საქართველოს პარლამენტის მოდელირების მე-7 სესია საქართველოს უნივერსიტეტსა და ევროპის სახლში გაიმართა. პროექტი სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და 20 ოქტომბერს დასრულდა.

სიყვარულის მახვილით დაპყრობილი საქართველო

შურთხია ბეროშვილი

„საქართველო და ირანი — უპრეცედენტო ურთიერთობათა 20 წელი“ — ასე ჰქვია პროფესორ ნომადი ბართაიას ახალ წიგნს, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის აღ მუსტაფას საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლობის თანადგომით გამოიცა. წიგნში ავტორის უშუალო შთაბეჭდილებების ფონზე აღწერილია ამ ორი ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობები.

„ირანელები ქართველებს ხმლით ვეღარ გიპყრობთ, მაგრამ ახლა სიყვარულის მახვილით დაგიპყრობთ“, — ეს სიტყვები ეკუთვნის ირანის ისლამური რესპუბლიკის პირველ ელჩს საქართველოში ბატონ ფერეიდუნ ჰაყბინს, — იხსენებს წიგნის ავტორი, პროფესორი და მწერალი ნომადი ბართაია, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა — ამ ორ ქვეყანას შორის ახალი ურთიერთობის დასაწყისიდანვე მოვლენათა შუაგულში აღმოჩენილიყო.

„მას მერე, რაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, ირან-საქართველოს ურთიერთობაც შეიცვალა, ისტორიაში პირველად დამყარდა პირდაპირი, სახელმწიფოებრივი კავშირი ორ ქვეყანას შორის, რომელიც ურთიერთპატივისცემას ემყარება. ირანი იყო ის ქვეყანა, რომელმაც 20 წლის წინ, ერთერთმა პირველმა ცნო საქართველოს სახელმწიფოებრიობა და მეგობრული ხელი გამოუწოდა მას. ამის შემდეგ ირან-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპი დადგა, ამიტომაც ვუწოდებ უკანასკნელ 20-წლიან ურთიერთობას „უპრეცედენტოს“, — ამბობს ნომადი ბართაია.

წიგნი იწყება 1996 წელს ისფაჰანის უნივერსიტეტში ქართველ ირანისტ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთთვიანი სტაჟირების აღწერით, რა დროიდანაც, შეიძლება ითქვას, მართლაც რომ ნამდვილი საფუძველი ჩაეყარა ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობებს ახალ ეპოქაში.

„ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ თავიდანვე, როგორც ირანისტს, მომიწია ამ კულტურულ ურთიერთობათა შუაგულში ყოფნა. ყველაფერს უბის წიგნაკში ვინიშნავდი, ყოველი შეხვედრა ირანელებთან მნიშვნელოვანი იყო. როგორც უნივერსიტეტის პროფესორს, ხშირად მქონდა საშუალება მონაწილეობა მიმეღო ირანში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში თუ სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებებში, საიდანაც დაბრუნებული ვწერდი ჩემს შთაბეჭდილებებს — რომელთა ნაწილმა ამ წიგნში მოიყარა თავი“.



წიგნის ავტორი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ კულტურული ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით, ირანის მხარე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს. „ირანის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სპარსული კულტურის პოპულარიზაციას. იგი მზად არის ყველანაირად შეუწყოს ხელი სპარსული ენისა და ლიტერატურის, ირანის ისტორიისა და კულტურის სწავლებას უცხოეთში. ქართველ ირანისტებს მათი მხრიდან დიდი მხარდაჭერა და ხელშეწყობა გვაქვს. აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ირანის მხარის თანადგომით, გაიხსნა და კეთილმოეწყო ირანის ოთახი; გამოიცა ქართველ ირანისტთა არა ერთი წიგნი; სტუდენტები ყოველ წელს გადიან სტაჟირებას ირანის სხვადასხვა უნივერსიტეტებში; ირანის საელჩომ, მისმა კულტურის განყოფილებამ არაერთხელ გამოუყო ირანისტიკის განხრის პირველკურსელ სტუდენტებს, გრანტის სახით, ერთი სემესტრის სწავლის დასაფარი თანხა; ამოქმედდა გაცვლითი პროგრამები; ეწყობა ექსკურსიები ირანში; სხვადასხვა პროგრამებით ჩამოდიან ირანიდან კულტურის სფეროს წარმომადგენლები, რასაც, რა თქმა უნდა, ასევე პასუხობს ჩვენი მხარე და ა.შ.

ეს საკმაო მოცულობის ფოტოებით დამშვენებული წიგნი, რომელსაც უკვე არაერთი დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, წარმოადგენს ერთგვარ პირველწყაროს ქართულ-ირანული ურთიერთობებით დაინტერესებულ პირთათვის.

გთავაზობთ ერთ ჩანახატს წიგნიდან:

სადაც ჭიანჭველებს ასე ეპყრობიან

ყუმში ჩასვლის მეორე დღეს წინასწარმეტყველ ხეზრის მავზოლეუმის დასათვალიერებლად წაგვიყვანეს, რომელიც ქალაქიდან ოცი კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. მუსლიმური გადმოცემით ხეზრმა მიაგნო უკვდავების წყაროს.

მასპინძელი მომიყვა: იყო ერთი წმინდანი — ჯაფარ მუჯთაჰედი (მუჯთაჰედი — რელიგიურ კანონთა განმარტებაში უმაღლეს საფეხურს მიღწეული პირი), რომელიც ათი წლის წინ გარდაიცვალა. იგი საავადმყოფოებში დადიოდა თურმე, სხვათა ავადმყოფობებს თვითონ იღებდა და დაავადებულთ ასე ჰკურნავდაო.

ერთხელ, წმინდა ჯაფარი, სადაც ახლა ჩვენ მივდივართ, მოსალოცად წასულა. მოლოცვის შემდეგ, მავზოლეუმის ეზოში, წასახემსებლად, შინიდან წაღებული საგზალი პატარა სუფრაზე გაუშლია. შინ დაბრუნებულს ის სუფრა რომ გაუხსნია, მასზე ერთი ჭიანჭველა შეუმჩნევია. უფიქრია, ეს ჭიანჭველა იქიდან არის გამოყოლილი, სადაც ეს სუფრა გავშალე, მას ოჯახი იქ ექნებაო. აუკეცია ის სუფრა, გაბრუნებულა უკან და ის ჭიანჭველა იმ ადგილას დაუსვამს, სადაც ის სუფრა გაეშალა. წმინდა ჯაფარი თურმე ფეხით დადიოდა ყოველთვის.

ჩვენ ვიყავით ქალაქში, სადაც ჭიანჭველებს ასე ეპყრობიან.

რამდენად ფასობს დროის მართვის წესები სასულიერო სკოლების მოსწავლეებისთვის

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზიაში და წმ. ათორმეტ მოციქულთა სახელობის მცხეთის მართლმადიდებლურ საშუალო სკოლაში ლექცია-სემინარები გამართა. ლექციები ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ გიორგი შიხაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა და მას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები თორნიკე ბერიძე, შორენა გოგიძე, ქეთი კორძაძე და ლევან ტეფნაძე უძღვებოდნენ. ლექცია-სემინარების თემა „დროის მართვა“ გახლდათ. სასულიერო სკოლების უფროსკლასელებმა ინფორმაცია მიიღეს დროის მნიშვნელობის, მიზნის დასახვისა და მიღწევის პროცესში მისი სწორად გადანაწილების აუცილებლობის თაობაზე.

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“ საქართველოს რეგიონების საჯარო სკოლებში ლექცია-სემინარებს ბოლო რამდენიმე წელია მართავს. მიმდინარე წლის მაისში ლექცია-სემინარი „დროის მართვა“ სტეფანწმინდის გიმნაზიის მოსწავლეებმაც მოისმინეს.

წმ. ათორმეტ მოციქულთა სახელობის მცხეთის მართლმადიდებლურ სკოლაში

წმ. ათორმეტ მოციქულთა სახელობის მცხეთის მართლმადიდებლური სკოლა 1996 წელს დაარსდა და მას არქიმანდრიტი ილია ნასიძე ხელმძღვანელობს. სკოლაში გორის გიმნაზიასთან შედარებით მცირე რაოდენობის მოსწავლეები სწავლობენ. ამ ეტაპზე იქ საშუალო განათლებას 200-მდე ბავშვი იღებს, რაც საკლასო ოთახების სიმცირით არის განპირობებული.

ლექცია-სემინარი თემაზე „დროის მართვა“ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“ სასულიერო სკოლაში 29 ოქტომბერს გამართა. ამ შემთხვევაშიც ლექცია მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა და ზოგიერთმა მათგანმა დროის სწორად გადანაწილების მიზნით დღის განრიგის შედგენა მაშინვე გადაწყვიტა. მოსწავლეების ნაწილისთვის კი დროის მართვის ზოგიერთი დეტალები უკვე ცნობილი გახლდათ.

„ლექცია საინტერესო იყო, თუმცა ჩემთვის უცხო არ ყოფილა. თითქმის ყველაფერს ასე ვაკეთებ, მაგრამ იყო ერთი პუნქტი, რასაც არ ვასრულებ და მომავალში გავითვალისწინებ“, — გვითხრა XII კლასის მოსწავლემ ანა რამიშვილმა.

„ძალიან მომეწონა ლექცია, აუცილებლად გავითვალისწინებ ყველაფერს, რაც გვითხრეს. დიდი სურვილი გვაქვს და იმედია, ჩვენც მოვხვდებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, — გვითხრა ასევე XII კლასის მოსწავლემ ეკა მაკარაშვილმა.

მე-12 გვერდზე

გახსენება

მელიტა კობალაძის ხსოვნას

ქართულ საენათმეცნიერო სკოლას მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გამოაკლდა ფილოლოგიის დოქტორი მელიტა კობალაძე — თსუ-ის ახალი ქართული ენის კათედრის ღვაწლმოსილი და ერთგული თანამშრომელი, შესანიშნავი მკვლევარი და მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგი, უანგარო, ჩუმი და უპრეტენზიო, სტუდენტების საყვარელი ლექტორი.

მელიტა კობალაძეს აკადემიკოს ვარლამ თოფურიას სკოლა ჰქონდა გავლილი და გამოირჩეოდა თავისი პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, უკომპრომისობითა და დახვეწილი ქცევით.

მისი კვლევის სფერო, ძირითადად, მწერლის ენა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმირებისა და მეტყველების კულტურის საკითხებს მოიცავდა. მის გამოკვლევას — „მწერლის ენის შესწავლის ორი ასპექტი” ამ სფეროში მომუშავე მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის: მან პირველმა მიაქცია ყურადღება მწერლის ენის შესწავლაში სინტაქსურ-სტილისტური თავისებურებების საკითხებს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი საკვალიფიკაციო ნაშრომი „სულხან-საბა ორბელიანის ენა და სტილი”.

მელიტა კობალაძე ნახევარი საუკუნე კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სტუდენტებს, რომელთაც იგი უკითხავდა ლექციებს მეტყველების კულტურის საკითხებზე, ამ კურსის გაგრძელება მოუთხოვიათ.

ბოლო წლების მოვლენებმა მძიმე ტკივილი მიაყენეს მის ფაქიზ სულს... თავდადებული დედა და მოსიყვარულე ბებია, ჭეშმარიტად სპეტაკი და მოუსყიდავი, უღალატო ადამიანი, რომელიც კოლეგებსა და მეგობრებს შორის სითბოსა და სიკეთეს თესდა... მეტად მძიმეა მელიტას დაკარგვით გამოწვეული გულისტივილი მისი სამეგობროსათვის.

დაე, უფალმა სასუფეველში დაამკვიდროს მისი ნათელი სული.

კოლეგები და მეგობრები;
თსუ-ის ქართული ენის ინსტიტუტი

რამდენად ფასობს დროის მართვის წესები სასულიერო სკოლების მოსწავლეებისთვის

მეთერთმეტე გვერდიდან

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“ საქართველოს რეგიონებში ლექცია-სემინარების ციკლი მცხეთის მართლმადიდებლურ სკოლაში ვიზიტით დაასრულა. მომავალ წელს „იდეა“ სკოლის მოსწავლეებისთვის ტრენინგ-კურსების შეთავაზებასაც გეგმავს, რომლებიც სხვადასხვა საინტერესო თემატიკის შესახებ მომზადდება.

ირაკლი მურცხვალაძე

„ლექცია-სემინარმა „დროის მართვაში“ მსენელთა ინტერესი გამოიწვია. მათში პედაგოგებსაც ვგულისხმობ და ამიტომ, ვფიქრობ, ჩვენი პროექტი წარმატებული აღმოჩნდა. ბავშვებმა ელემენტარული ანა-ბანა უკვე ისწავლეს, თუ როგორ შეიძლება საკუთარი დრო დააფასო, დაგეგმო და დაგეგმილი რეალურ პრაქტიკაში განახორციელო. არანაკლებ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის წარმომადგენლების სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან დაახლოების პროცესიც, რაშიც ჩვენი პროექტით, ვფიქრობ, გარკვეული წვლილი შევიტანეთ“, — განაცხადა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასოცირებულმა პროფესორმა, ცენტრ „იდეას“ დირექტორმა გიორგი შიხაშვილმა.

ვიზიტი მცხეთაში წმ. გაბრიელ ბერის საფლავის, სვეტიცხოვლის და სამთავროს ტაძრების მოლოცვით დასრულდა.

ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზიაში

ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზია 1888 წელს დაარსდა. 2005-2006 წლებში კი სამთავისისა და გორის ეპარქიის ეპისკოპოს ანდრია გვაზავას კურთხევითა და შემოწირულობებით პირვანდელი სახით აღადგინეს და მას სასულიერო სკოლის ფუნქცია დაუბრუნეს. ძირითადად, მას იცნობენ როგორც გიმნაზიას, სადაც სტალინი სწავლობდა, თუმცა ამას გარდა გორის გიმნაზიასთან საქართველოს 4 პატრიარქის სახელია დაკავშირებული — პატრიარქ ლეონიდე ოქროპირიძის, ეფრემ II-ის, პატრიარქ მელქისედეკისა და მღვდელმთავარ ალექსანდრე ოქროპირიძის, რომელიც ილია ჭავჭავაძის მოძღვარი და შიო-მღვიმის განმაახლებელი გახლავთ. გიმნაზიაში სწავლობდნენ ნიკო ლომოური, იაკობ გოგებაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი და ა.შ.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის „იდეას“ წარმომადგენლები გორის გიმნაზიას 22 ოქტომბერს ეწვივნენ. ლექცია-სემინარი „დროის მართვა“ სასულიერო სკოლის უფროსკლასელებისთვის გაიმართა. მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა დროის მართვის მნიშვნელობის გაცნობიერება. როგორც მათ ლექციის დასრულების შემდეგ აღნიშნეს, დროის დაგეგმვა, შემდეგ ამ გეგმის განხორციელება და, ზოგადად, დროის სწორად გამოყენება მიზნების მიღწევის მთავარი წინაპირობაა და, შესაბამისად, ყოველივე ამის გათვალისწინება მათ სწავლის პროცესშიც დაეხმარებათ. მოსწავლეებისთვის ლექციის მოსმენის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზიის დირექტორმა მამა ბორის ნიჩიპეროვიჩმა.

„ჩვენ მეუფისგან გვქონდა კურთხევა, რომ მოსწავლეები უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან შეგვეხვედრებინა და მათ შორის ურთიერთობები გაგვეღრმავებინა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ შემოთავაზებული ლექცია ძალიან საინტერესო იყო თემატური თვალსაზრისით, მაგრამ აქ ყველაზე მთავარი

გიორგი შიხაშვილი და მამა ბორის ნიჩიპეროვიჩი გორის გიმნაზიაში

ვახტანგ ჭარაია

მაინც უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებთან — პროფესურასთან, სტუდენტებთან ურთიერთობის დაწყებაა. ასეთი კონტაქტების შედეგად შესაძლებელია ზოგიერთმა მოსწავლემ კორექტივებიც შეიტანოს პროფესიის არჩევაში. რაც შეეხება დროის მართვას, ეს ყველა დროის ყველა ქართველის პრობლემაა და ვფიქრობ, ჩვენი ბავშვებისთვისაც დროული იყო ამ ლექციის მოსმენა. იმედი მაქვს, რომ ჩვენს გიმნაზიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა გაგრძელდება“, — განაცხადა მამა ბორის ნიჩიპეროვიჩმა.

გორის გიმნაზიას თსუ-ის რექტორის მრჩევლები ვახტანგ ჭარაია და ირაკლი მურცხვალაძეც სტუმრობდნენ, რომლებმაც ღონისძიებაზე გაჟღერებულ ინიციატივას — გიმნაზიის მოსწავლეების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვევის შესახებ მხარი დაუჭირეს. მათ, ასევე, ისაუბრეს თსუ-სა და ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზიას შორის ურთიერთობის გაღრმავების თაობაზეც, რაც უახლოეს მომავალში დაგეგმილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებითაც გამყარდება.

„მნიშვნელოვანია, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები საქართველოს რეგიონებში ჩადიან და სხვადასხვა სკოლებში ცალკეულ თემატიკაზე ლექციებს კითხულობენ. საშუალო და უმაღლესი განათლება ინდივიდუალურად ვერ განვითარდება, ეს არის ერთიანი ციკლი. თუ სკოლის მოსწავლეებს არ გადაეცი გარკვეული სტანდარტიზებული ცოდნა, შემდეგ მათ ძალიან გაუჭირდებათ უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე პროცესებში ჩართვა. საშუალო განათლებასა

და უმაღლეს განათლებას შორის არსებული ვაკუუმი აუცილებლად უნდა ამოვავსოთ, რათა სტუდენტებმა პირველივე კურსიდანვე ჩვეულ გარემოში იგრძნონ თავი და სასწავლო პროგრამებიც მათთვის უცხო არ იყოს“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორის მრჩეველმა ირაკლი მურცხვალაძემ.

ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზიაში ამ დროისთვის 408 ბავშვი სწავლობს. გიმნაზიაში მოსწავლეები საშუალო განათლებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით ეუფლებიან, თუმცა, სასულიერო სკოლის სტატუსის შესაბამისად, დამატებითი საგნებიც ისწავლება — ძველი ქართული ენა, საღვთო სჯული, ქრისტიანული კულტურის ისტორია, ქართული ხალხური სიმღერები და საეკლესიო საგალობლები. მოსწავლეებს, ასევე, საშუალება აქვთ — დაეუფლონ ხელგარჯილობას, ხეზე კვეთასა და ხატწერას.

გორის გიმნაზიაში ლექცია-სემინარის დასრულების შემდეგ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის „იდეას“ წევრებმა და თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გიმნაზიის დირექტორთან მამა ბორის ნიჩიპეროვიჩთან ერთად ატენის სიონი მოილოცეს. VII საუკუნის ჯვარგუმბათოვან ტაძარს ამჟამად რესტავრაცია უტარდება.

***მოამზადა* ნატო ოგოლაძემ**



ატენის სიონში

წმ. ათორმეტ მოციქულთა სახელობის მცხეთის მართლმადიდებლურ სკოლაში

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი	ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ნოდარ ბელქანია, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ა (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62